ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№333 (392) 29 სექტემბერი – 6 ოქტომბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ალექსანდრე ჭაჭია: შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქართველი ერის სასიცოცხლო არეალი მკვეთრად შემცირდა

...ბუნებრივია, ინფორმირებულმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ე.წ. “ნაციონალური მოძრაობა” არანაირი ნაციონალური (ეროვნული) თავისი არსით არ არის, თუნდაც, იმიტომ, რომ გარედან იმართება; ყველას ესმოდა, რომ ამ მოძრაობის გარშემო თავმოყრილი არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდებიან და იმართებიან სწორედ ანტიეროვნული, კოსმოპოლიტური საერთაშორისო ძალების მიერ...

გვ.2-4

ოფიციალური თბილისი სიტყვას არ წარმოთქვამს “სეპარატისტების” ხსენების გარეშე, თან ყოველ წინადადებას “ეგრეთ წოდებულს” ურთავს წინ. ეს “ეგრეთ წოდებული”, დამოუკიდებელია და მიუხედავად ამერიკა-ევროპის წინააღმდეგობისა, იკვლევს გზას ბობოქარ პოლიტიკურ ჭიდილში.

გვ.11

ჰამლეტ ჭიპაშვილი: როგორ ამშვიდებდა ბუში სააკაშვილს და რა ჩამოიტანა ამერიკულმა სამხედრო გემმა ბათუმში?

გია ჩუთლაშვილი: ილუზიები გაჰქრნენ...

...საქართველო აღარ იქნება ქართული. იგი ერთდროულად იქნება რუსულიც, სომხურიც, თათრულიც, დასავლურიც, აღმოსავლურიც და სინამდვილეში არ იქნება არაფერი. აი ამის შეგუებას ეშურებიან ახლა...

გვ. 3

დედა-ეკლესიას მოწყვეტილი წმინდა სალოცავები

გვ. 8

ამანათი პანკისიდან სირიაში – 17 წლის გოგონას პანკისელ მებრძოლს საცოლედ უგზავნიან

არასრულწლოვანი გოგონა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და პანკისში ბიძასთან სტუმრად იმყოფებოდა, მამაკაცებმა წაიყვანეს იმ მიზნით, რომ სირიაში საცოლედ გაუგზავნონ 21 წლის ვახა ტოხოსაშვილს, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ დაჯგუფებაში იბრძვის.

გვ.6

იგორ კეკელია: კვლავ კოლხური კულტურის შემოქმედი ეთნოსის ენის შესახებ

გვ. 7

ბორის დავითაია: ადამიანი რომელსაც ვეძებდი!

გვ.5

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ: ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲐᲠᲔᲐᲚᲘ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ

დაიბეჭდა 2004 წლის ოქტომბერში, გაზეთში „ასავალ-დასავალი“

ერმა უარყო და დაწყევლა შევარდნაძე სწორედ იმიტომ, რომ 12 წლის განმავლობაში მისგან მხოლოდ სიცრუეს, ცარიელ დაპირებებს ისმენდა, დამცირებას, შეურაცხყოფას განიცდიდა და ბოლოს მიხვდა, რომ შევარდნაძე არ შეიძლება ერის სათავეში იდგეს, ვინაიდან მას ერზე ზრუნვა და ერის პრობლემების გადაწყვეტა არ ძალუძს და არც სურს. ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ამ ფაქტის გაცნობიერებას წლები დასჭირდა, რომელთა განმავლობაშიც მოკლულ იქნა ათასობით ჩვენი თანამემამულე, დაიკარგა ისტორიული ტერიტორიები, რომელთა გარეშეც საქართველოს უფლება არა აქვს, საქართველოდ იწოდებოდეს. ქვეყანა მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა, ხოლო მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველო, როგორც დაშლილი, ღატაკი, არშემდგარი სახელმწიფო მოისაზრება. მაგრამ შევარდნაძის დამანგრეველი საქმიანობის მთავარი დამღუპველი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მთელი სიმწვავით დგას ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის გადარჩენის საკითხი. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქართველი ერის სასიცოცხლო არეალი მკვეთრად შემცირდა, საქართველოში კატასტროფულად იკლო ქართველების რაოდენობამ, ერი მნიშვნელოვნად დაბერდა. ხომ არ გახდება 21-ე საუკუნე უკანასკნელი ასწლეული საკუთარ მიწაზე მცხოვრები და განვითარებადი ქართველი ერის ისტორიაში? აი, როგორ დგას საკითხი. თუ გავითვალისწინებთ ქართველი ერის რიცხოვნობას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დონეს და სახიფათო გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ ერის და ეროვნული სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის ძალიან ცოტა დრო გაგვაჩნია. აუცილებელია შევარდნაძის ანტიეროვნული პოლიტიკის დაუყოვნებლივ უარყოფა, ერის ხსნის და განვითარების სტრატეგიის შემუშავება და რეალიზება! სწორედ ამას ელოდა ხალხი ახალი ხელისუფლებისაგან.

ბუნებრივია, ინფორმირებულმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ე.წ. **“ნაციონალური მოძრაობა”** არანაირი ნაციონალური (ეროვნული) თავისი არსით არ არის, თუნდაც, იმიტომ, რომ გარედან იმართება; ყველას ესმოდა, რომ ამ მოძრაობის გარშემო თავმოყრილი არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდებიან და იმართებიან სწორედ ანტიეროვნული, კოსმოპოლიტური საერთაშორისო ძალების მიერ; გვესმოდა ისიც, რომ ამერიკელებმა უბრალოდ გადაწყვიტეს ლიმონივით გამოწურული შევარდნაძის გადაგდება და მისი ჩანაცვლება ახალგაზრდა, ენერგიული და აგრესიული ბიჭებით. ცხადი იყო ისიც, რომ საქართველოს განვითარების არანაირი კონცეფცია, არანაირი ეკონომიკური მოდელი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს არ გააჩნიათ. მაგრამ შევარდნაძის მიმართ სიძულვილი, მისი პოლიტიკის აბსოლუტური მიუღებლობა, ზიზღი მისი გარეგნობის მიმართაც კი იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხმა ე.წ. **„ვარდების რევოლუციას“** აქტიურად დაუჭირა მხარი. მეტიც, დაუჭირა მხარი სააკაშვილს სწორედ როგორც ეროვნულ ლიდერს, ვინც საკუთარ თავზე იღებს ერის გადარჩენაზე პასუხისმგებლობას! თავისი როლი ითამაშა ინტუიციურმა გათვლამ: სააკაშვილი ხედავს, თუ რა სიძულვილი დაიმსახურა შევარდნაძემ, ხედავს, რომ ჩვენ მას მხარს ვუჭერთ შევარდნაძის დამხობის სურვილით შეპყრობილნი და არასოდეს გაიმეორებს შევარდნაძის პოლიტიკასო!

უდავოა, პირველი და უმთავრესი საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც ახალი ხელისუფლებისაგან ველოდით, გახლავთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ხალხს მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული ამ პრობლემის სასიცოცხლო მნიშვნელობა: საქმე მარტო ის კი არ არის, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ეკონომიკური პოტენციალი განახევრებულია, არამედ ის, რომ ქართველთა არეალის შემცირება ეჭვის ქვეშ აყენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითშეგნებას, ეროვნულ ღირსებას, ქართველი ერის სულიერ ერთიანობას. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერ-ზნეობრივი განვითარება შეუძლებელია! ეს უკვე სხვა საქართველო იქნება და სხვა ხალხი!

ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტის გზებზე ბევრს ლაპარაკობენ. ლაპარაკის იქით საქმე არ იძვრის, მაგრამ მიუთითებენ ორ გზაზე. პირველი – **„ტერიტორიების დაბრუნება მშვიდობიანი გზით“**. ამას ითხოვს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და მათ საამებლად ამას უაზროდ იმეორებენ ჩვენი პოლიტიკოსები. ამ **„სიმღერის“** მღერა პირველმა შევარდნაძემ დაიწყო, ვისაც ჭკუა და უნარი არ ეყო, მშვიდად მოეგვარებინა აფხაზებთან ის პრობლემები, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან სასაცილოდ გვეჩვენება. მაგრამ ყველაზე გასაოცარია, რომ სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან ზუსტად გაიმეორა შევარდნაძის ბოდვითი წინადადებები. ჩვენმა **„ჯიბის“** ტელეარხებმა ეს ბოდვა რატომღაც **„აფხაზეთის დაბრუნების გეგმად“** მონათლეს! სადაა გეგმა? რომელია გეგმა? შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება სამ წინადადებას: პირველი – საქართველოს ხელისუფლებასა და მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. ცხინვალის რეგიონში ახლახან მომხდარი სამარცხვინო ავანტიურის შემდეგ რომელ ნდობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? მეორე – სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია, ანუ სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სხვა ქვეყნების წარმომადგენლობის ჩართვა. შევარდნაძემაც კი, ამ ბოდვითი წინადადების მრავალწლიანი განმეორების შემდეგ შეიგნო ელემენტარული ჭეშმარიტება: ინტერნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გაეროს უშიშროების საბჭო, სადაც რუსეთს ვეტოს უფლება გააჩნია; გარდა ამისა, საჭიროა აფხაზური (ოსური) მხარის თანხმობაც. **„ბრძნული“** განცხადების მესამე პუნქტი გახლავთ ავტონომიების უფლებების გაფართოება, ანუ შევარდნაძის ძველი, მოყირჭებული წინადადება, რომელიც აფხაზებმაც და ოსებმაც ასჯერ უარყვეს. თანაც, უფლებების რომელ გაფართოებაზე შეიძლება საუბარი მაშინ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ აჭარის ავტონომიისგან მხოლოდ სახელწოდება დატოვა. იქნებ რომელიმე ჭკუათმყოფელი თვლის, რომ აფხაზებისთვის ეს კარგი წამახალისებელი მაგალითია? მომიძებნეთ ასეთი აფხაზი.

ტერიტორიების მშვიდობიანი დაბრუნება არის მითი, ერის მოტყუება. მშვიდობიანი გზა ნიშნავს ნებაყოფლობით გზას, ანუ სურვილზე დაფუძნებულს. დღევანდელ საქართველოში რამ შეიძლება გამოიწვიოს აფხაზებში ასეთი სურვილი? განვითარებულმა ეკონომიკამ? მოსახლეობის ცხოვრების მაღალმა დონემ? საქართველო შვეიცარიად იქცა, როგორც ამას შევარდნაძე გვპირდებოდა? გარდა ამისა, აფხაზეთში მთელი თაობა გაიზარდა, ვისთვისაც ქართველები **„სისხლიანი აგრესორები“** არიან, რომლებთანაც მათ საერთო არაფერი აქვთ და არც უნდათ, ჰქონდეთ. რატომ დაბრუნდებიან ნებაყოფლობით აფხაზები საქართველოს შემადგენლობაში? ეს არ მოხდება.

მეორე ყბადაღებული **„გზა“** ტერიტორიების ომით დაბრუნებაა. ამ გზას საზოგადოებას სთავაზობენ, როგორც წესი, ის პოლიტიკოსები და გენერლები, რომლებიც, მიატოვეს რა უზარმაზარი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, სამარცხვინოდ გამოიქცნენ იქიდან, უკან დატოვეს მათზე მინდობილი მშვიდობიანი მოსახლეობა, ხოლო ერთ თვეში უსირცხვილოდ გაიარეს მარშით სამხედრო აღლუმზე და ამაყად ესალმებოდნენ თავიანთ გაკოტრებულ მთავარსარდალს. ეს ის ხალხია, ვინც დღეს ამაყად აცხადებს, რომ ომი წააგეს არა აფხაზებთან, არამედ კაზაკებთან და ჩეჩნებთან. მათი აზრით, ეს გარემოება მდგომარეობას შეგვიმსუბუქებს იმ ადამიანებს, ვინც სამშობლო დავკარგეთ, და მათ პატივი უნდა მივაგოთ კიდევაც! ისმის კითხვა: როდესაც თავიანთ მთავარსარდალთან ერთად ამ ომს იწყებდნენ, ბზიფის წყალს სვამდნენ და **„ერთი სტადიონის ხალხის“** განადგურებით იმუქრებოდნენ, მაშინ არ იცოდნენ, ვის მხარეზე იქნებოდნენ კაზაკები და ჩეჩნები? ნებისმიერმა ბავშვმა აფხაზეთში ეს იცოდა. როდესაც დღეს ეს **„გმირები“** ომისკენ მოგვიწოდებენ, თვლიან, რომ კაზაკები, ჩეჩნები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხები დედამიწის ზურგზე უკვე აღარ არიან? თუ ყველა ისინი ბუტაფორიული აღლუმებით დააშინეს? აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ახალ მასშტაბურ სისხლისღვრას და შორეულ პერსპექტივაშიც კი ქვეყნის გამთლიანების ყოველგვარი იმედის საბოლოო დაკარგვას.

სად არის გამოსავალი? გამოსავალი მხოლოდ ერთია: აფხაზურ და ოსურ მხარეებთან უშუალო მოლაპარაკება რუსეთის დაინტერესებული შუამავლობით მის მიერ ძალის შესაძლო გამოყენების დემონსტრირებით. დიახ, სწორედ რუსეთი არის ის ერთადერთი გეოპოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც გააჩნია რეალური შესაძლებლობები და მორალური უფლება, აიძულოს აფხაზები და ოსები, აღიარონ და მიიღონ ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობა. უკიდურესად სულელი ან კარგად მოსყიდული უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ეს ჭეშმარიტება არ ესმის ან არ უნდა გაიგოს და იმ სიცრუეს იმეორებს, რაც შევარდნაძისგან 10 წლის განმავლობაში გვესმოდა: გაერო მალე მორიგ რეზოლუციას მიიღებს, ევროპის საბჭო და ეუთო **„გადამწყვეტ“** ზომებს მიიღებენ, **ნატო „რეალურ“** დახმარებას აღმოგვიჩენს, **„მსოფლიო თანამეგობრობა“** საქართველოს მხარს უჭერს, საქართველოს **„მეგობარი ქვეყნები“** თავქუდმოგლეჯილი მორბიან ჩვენს საშველადო და სხვა მსგავსი სისულელეები. 11-წლიანი იმედგაცრუების შემდეგ ერმა უნდა გააცნობიეროს ელემენტარული ჭეშმარიტება: რუსეთის მხრიდან სოხუმსა და ცხინვალზე პირდაპირი ზეწოლის გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია! ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელსაც ჩვენს ხელისუფლებას უმტკიცებენ საქართველოს ნამდვილი მეგობრები აშშ-ში, ევროპასა და აზიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. ეს ფაქტი დღესავით ნათელია ყველა ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანისათვის! მეტიც, ეს ფაქტი თვალნათელია რადიკალური აფხაზური სეპარატისტული წრეებისთვისაც კი; ახლახან **„კომერსანტისთვის“** მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთმა ასეთმა აფხაზმა რადიკალმა ბ. სმირმა განაცხადა: **„თუ საქართველოს ხელისუფლებაში მოვა ადამიანი, რომელიც რუსეთთან დამეგობრდება, მეორე დღესვე რუსეთი ჩვენ გადაგვაგდებს და აფხაზები ქართველებთან პირისპირ დავრჩებით“**. მაშ, რატომ არის ყველასათვის გასაგები ელემენტარული ჭეშმარიტება გაუგებარი საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის? ამ საკითხს ჩვენ დავუბრუნდებით.

ცხადია, რომ დღეს რუსეთი, ოფიციალური განცხადებების მიუხედავად, არ იჩენს გულწრფელ დაინტერესებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. იბადება კითხვა: როგორ უნდა გამოვიწვიოთ ასეთი დაინტერესება? ბუნებრივია, დაინტერესების გამოწვევა შეუძლებელია, თუ მუდმივად გავიძახით იმას, რომ შევდივართ **ნატო**-ში (სადაც არავინ გვეპატიჟება), განვალაგებთ ჩვენს ტერიტორიაზე **ნატო**-ს სამხედრო ბაზებს, მივცემთ თურქებს აეროდრომებს და ა.შ., ანუ ვაკეთოთ ის, რასაც შევარდნაძე აკეთებდა. ასეთი პოლიტიკით ჩვენ პირდაპირ ვეუბნებით რუსეთს: საქართველო შევა **ნატო**-ში და საკუთარ ტერიტორიას შენი გეოსტრატეგიული მოწინააღმდეგის სამხედრო ბაზებს დაუთმობს; დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იმისათვის, რომ **ნატო**-მ სრულიად გააკონტროლოს მთელი რეგიონი! რა პასუხს ველით ამ **„ბრძნულ, მეგობრულ“** წინადადებაზე? ცხადია, რომ რუსეთი შეიძლება იყოს დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ ის იქნება აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ გაერთიანებული საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციას არასოდეს არანაირი სამხედრო-ტერორისტული საშიშროება არ დაემუქრება. ამიტომ საქართველომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს ჩარჩო-ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მოვალეობა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არასოდეს არ განლაგდება უცხო სამხედრო ძალები (სწორედ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულებები და არა სააკაშვილის არაფრისმომცემი დაპირებები, რომლებიც მან გაეროს ტრიბუნიდან გააკეთა, თანაც, პარალელურად განაცხადა, რომ საქართველო მზადაა **ნატო**-ში შესასვლელად; თუ საქართველო **ნატო**-ში შევა, ვინ შეგვეკითხება, განლაგდეს აქ მისი ბაზები თუ არა?). მეტიც, შესაბამისი ხელშეკრულება რუსეთსა და **ნატო**-ს შორისაც უნდა იქნეს დადებული: რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ, რომლებიც ორ ქვეყანას შორის ნდობის პირობებში თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ, მათ ადგილს არ დაიკავებენ **ნატო**-ს ბაზები. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი საქართველოს სრული უსაფრთხოებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მოჩვენებითი **„ევროპულობის“** მიუხედავად, თურქეთი რჩება დიდი იმპერიული წარსულის და ამბიციების მქონე უმსხვილეს აღმოსავლურ სახელმწიფოდ, რომელიც დღესაც არ მალავს **„დიდი თურანის“** შექმნისადმი მისწრაფებას, ხოლო საქართველოს, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს, მიიჩნევს საკუთარ ძირძველ ტერიტორიად, რომელიც დროებით მას რუსეთმა წაართვა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც აშშ-ს, არც **ნატო**-ს დღეს უკვე არ ძალუძს თურქეთის სრული გაკონტროლება; თურქები ხშირად იგნორირებას უკეთებენ ამერიკელთა თხოვნებს, რეკომენდაციებს, იღებენ დამოუკიდებელ სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, საკუთარი ინტერესების საზიანოდ არანაირ დათმობაზე არ თანხმდებიან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება **ნატო**-ს სხვა წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიას (ასე მაგალითად, კვიპროსის ნახევარი ტერიტორიის ანექსია 30 წელია, გრძელდება, მაგრამ თურქეთი უკან დახევას არ აპირებს და საბერძნეთს მისი ჩარევის შემთხვევაში ომითაც კი ემუქრება, არადა, საბერძნეთი **ნატო**-ს წევრია!). ერთადერთი ძლიერი მუსლიმანური მოკავშირის დაკარგვის შიში იმდენად დიდია, რომ აშშ და ევროპა ყველაფერზე თვალს ხუჭავს. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ბაზების გაყვანის შემდეგ თურქეთი გადაწყვეტს, გამოთავისუფლებული **„ისტორიული მიწები“** შემოიერთოს, არა მგონია, ჯორჯ სოროსმა, ჩენი მმართველობის სხვა ამერიკელმა თუ ევროპელმა **„მეგობრებმა“** გაბედონ, ამას შეეწინააღმდეგონ... ამიტომ სასურველია, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების გარდა, რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ არცერთი მათგანი, საქართველოს მთავრობის თხოვნის შემთხვევშიც კი, საკუთარ ჯარებს საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოიყვანს. უფრო მეტიც, თურქეთი უნდა იქნეს გაფრთხილებული, რომ საქართველოში მის მიერ ჯარის შეყვანა რუსეთის მიერ მიჩნეულ იქნება როგორც მისადმი ომის გამოცხადება. მსოფლიოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ასეთი ხელშეკრულებების დადება არცთუ იშვიათი მოვლენაა. მხოლოდ ასეთი საერთაშორისო ვალდებულებების მეშვეობითაა შესაძლებელი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საქართველოს მთლიანობის აღდგენის საქმეში რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნა.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ᲩᲔᲛᲘ ᲭᲣᲭᲣᲪᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲐᲡ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ! ᲐᲠᲐ, ᲨᲔᲜᲘ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲩᲔᲛᲡ

ცხონებული ოთარ რამიშვილის სიმღერის პერიფრაზი გამახსენდა უკვე მერამდენედ, როცა კოალიცია **“ქართული ოცნების”** წიაღში ატეხილ **“ჭიქის ქარიშხლებს”** ვადევნებდი თვალყურს.

ასეთი ქარიშხლების წარმოქმნის მიზეზს დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება არ სჭირდება. ერთი ტუტუცი იტყვის რამე ტუტუცურს, მეორე ტუტუცი უპასუხებს და ატყდება ტუტუცური ერთი ამბავი – არა, იმან რომ თქვა, ის სჯობდა; არა, ამან რომ თქვა, ეს სჯობდაო...

რა თქმა უნდა, მოსახლეობის უმეტესობას ყელში ამოსდის ყოველივე ეს და ორივე მოჩხუბარ ტუტუცს ზუსტად იმავეს უპირებს, რასაც ბატონი ოთარ რამიშვილი უპირებდა ერთ სახალისო სიმღერაში თავის სიდედრსაც და სხვის სიდედრსაც...

ხალხის გაღიზიანება კი, უნდა ვთქვათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად ადეკვატური და ლეგიტიმურია. არ შეიძლება, ქვეყანას მართავდეს ჯგუფი, რომელსაც **“კოალიცია”** კი ჰქვია, მაგრამ მისი წევრები ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ.

კოალიციის მილიარდერი ლიდერის იხტიბარგაუტეხელი გამონათქვამი **“გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა სწორედ დემოკრატიულობის მანიშნებელიო”** აქ გამამართლებელ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან, რაც **“ოცნების”** კოალიციის შიგნით ხდება, ამას უკვე “აზრთა სხვადასხვაობას” ვერ დავარქმევთ. ეს არის ზიზღი, მიუღებლობა, ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი განსხვავება და, არცთუ იშვიათად, ცინიზმამდე დასული დამოკიდებულება.

საუკეთესო მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს სწორედ გასულ კვირაში პარლამენტარ თამაზ მეჭიაურის დაპირისპირება პრეზიდენტ მარგველაშვილთან და შემდგომ რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილისა – თამაზ მეჭიაურთან.

ამ **“სასიყვარულო სამკუთხედის”** ამოსავალი წერტილი წინდის ქსოვა გახდა, რის გამოც მეჭიაურმა პრეზიდენტს დასცინა და, **“ოცნებაში”** მიღებული რიტუალის შესაბამისად, ბიძინას მიერ პრეზიდენტად **“დადება”** წამოაძახა.

რესპუბლიკელთა ყველაზე **“ოხუნჯი”** წევრი დავით ზურაბიშვილი კი პირდაპირ ეკვეთა თანაკოალიციელს და სოციალურ ქსელში ეს ფრაზა გამოაქვეყნა:

“ამ უკუღმართ დროებას რა ვუთხარი, თორემ მე და ეს კაცი რანაირად უნდა ვითვლებოდეთ ერთ გუნდში”?

გეგონება, ზურაბიშვილს ან ნებისმიერ სხვა რესპუბლიკელს ვინმემ დააძალა ივანიშვილის გუნდში და კოალიციაში ყოფნა... ან ვინმე ახლა ეღობებოდეს წინ და არ აძლევდეს კოალიციის დატოვების საშუალებას...

რა თქმა უნდა, არ ვაპირებ, მეჭიაურის ხისტი და ზოგჯერ საღი აზრისგან შორს მდგარი ფრაზები გავამართლო და დავიცვა, მაგრამ მისი და ზურაბიშვილის ფრაზებს თუ უკეთ ჩავუღრმავდებით და გავშიფრავთ, დავრწმუნდებით, რომ **“რესპუბლიკელ ოხუნჯს”** გაცილებით მიუღებელი აზრები აწუხებს, ვიდრე **“როყიო მეოცნებეს”**.

თამაზ მეჭიაურის მიერ პრეზიდენტ მარგველაშვილის დაცინვა წინდების ქსოვის გამო, უბრალოდ, გაუაზრებელი, როყიო და თუნდაც გაბოროტებული გამონაქვამია მხოლოდ...

აი, დავით ზურაბიშვილის ეს საოცარი გულახდილობა კი, მისი და მისნაირების მსოფლმხედველობაზე, შინაგან სამყაროზე, მორალსა და ზნეობაზე გვიქმნის წარმოდგენას.

ბატონი რესპუბლიკელი, ფაქტობრივად, პირდაპირ ამბობს, რომ მისი პოლიტიკური გუნდი კოალიციას მხოლოდ და მხოლოდ ანგარების მიზნით არის მიკედლებული. ისე კი, ზურაბიშვილს მის გვერდით მდგომნი და მისი **“თანაკოალიციელები”** სამარცხვინო, ამაზრზენ, მოუღებელ ადამიანებად მიაჩნია.

კითხვა მარტივი და გადამწყვეტია – რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც ეზიზღება, ერცხვინება ის გარემოცვა, რომელშიც არის, და, მიუხედავად ამისა, მაინც არის იქ, რადგან გარკვეული პრაგმატული მიზნები ამოძრავებს?

ეს პრაგმატული მიზნები, რესპუბლიკელებისა და, პირადად, ზურაბიშვილისთვის, რა თქმა უნდა, არის პარლამენტში, საკრებულოებში, ქვეყნის მთავრობასა და სახელისუფლო ორგანოებში მოხვედრა...

კი, გვინახავს სხვა შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე კონკრეტული პერსონა თუ ადამიანთა ჯგუფი მიკედლებულა რაიმე ორგანიზაციას გარკვეული პრაგმატული მიზნით, მაგრამ მათ იმდენი ნამუსი მაინც შერჩათ, რომ ჩუმად არიან და ხამამღლა მაინც არ უწევენ აფიშირებას თავიანთ ბინძურ აზროვნებასა უზნეობას.

აი, რესპუბლიკელები კი უკვე, ფაქტობრივად, დაუფარავად ამბობენ, რომ კოალიციის ლამის ყველა სხვა სუბიექტი (გავიხსენოთ, რომ ალასანიას ჯგუფი აღარ არის კოალიციაში) მათთვის სამარცხვინო, დასაცინი, საშინელება და მიუღებელია.

მკითხველს ვთავაზობ თვითონ გასცეს პასუხი კითხვას: რომელი ადამიანი უფრო უზნეოა – რომელიც თუნდაც უსამართლოდ და უტაქტოდ გამოთქვამს თავის აზრს მასთან დაპირისპირებულ მეორე პერსონაზე (ამ შემთხვევაში მეჭიაური – საქართველოს პრეზიდენტზე), თუ ადამიანი, რომელიც გაიძახის, ჩემ გვერდით მყოფები მაგრად **“არ მევასებიან”**, მრცხვენია, მათ გვერდით რომ ვდგავარ, ისინი სრულიად მიუღებლები არიან ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, მათ გვერდით რომ არ ვიდგე, ვეღარ მოვხვდები ვერც საკრებულოში, ვერც პარლამენტში, ვერც მთავრობაშიო?

კითხვა, რა თქმა უნდა, რიტორიკულია და მასზე პასუხის გაცემას დიდი დროც არ დასჭირდება.

უფრო რთული პასუხგასაცემი მეჩვენება კითხვები იმის თაობაზე, რატომ იჩერებს გვერდით მილიარდერის კოალიცია იმ ადამიანებს, რომლებიც მათ გამუდმებით ლანძღავენ, **“სამარცხვინოებს”** ეძახიან და უკვე აშკარად დასცინიან და მასხრად იგდებენ?

აქ, საყურადღებოდ მეჩვენება იმავე მეჭიაურის ფრაზაზე თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადება: **“ღმერთო, რა სირცხვილია! დიდი სირცხვილია ასეთი ადამიანების გვერდით ყოფნა. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მასწავლიდნენ – პარლამენტი ქვეყნის სარკეაო. როგორც საზოგადოება შედგება ყველანაირი ხალხისგან, ისე პარლამენტიც ყველანაირი ხალხისგან შედგება”.**

ნეტავ, სად **“ასწავლიდნენ”?!**

ალბათ, ყვარყვარე თუთაბერის თანამშრომელი გადამწერის მსგავსად, ესენიც **“წმინდა მიხეილის ჯგუფში ირიცხებოდნენ”**, არა?

და, ნეტავ, რას ასწავლიდნენ ამნაირს იმ **“წმინდა მიხეილის ჯგუფში”?**

განა რა სწავლა უნდა ასეთი იმას, რომ საზოგადოებაც, პარლამენტიც, ბაზარიც, ქარხანაც, ფაბრიკაც, აბანოც და დედამიწაზე ყოველნაირი დაწესებულება და ორგანიზაცია სხვადასხვანაირი ადამიანებისგან, სხვადასხვა ფენის, აზროვნების, მსოფლმხედველობის ხალხისგან შედგება?!

დავიჯერო, თინა ხიდაშელი და **“წმინდა მიხეილის ჯგუფის”** სხვა **“მოსწავლეები”** ასეთ აქსიომებს თავისით ვერ ხვდებოდნენ და ამისთვის მათ სპეციალური ტრენინგების, სემინარებისა და ლექციების კურსის გავლა სჭირდებათ?!

როგორც ჩანს, ასეა და, ფაქტობრივად, თვალნათლივ ვხედავთ კიდეც, რომ **“წმინდა მიხეილის ჯგუფის”** წევრები, რომლებსაც დღეს ჩვენი ქვეყნის მართვა აქვთ მინდობილი, ასე ვთქვათ, **“განსაკუთრებით ნიჭიერთა”** კონტიგენტიდან შეარჩიეს თავის დროზე და სპეციალურად გამოზარდეს საიმისოდ, რომ უცხოური სპეცსამსახურების ნების უსიტყვო და ბრმა შემსრულებლები ყოფილიყვნენ.

მე, მაგალითად, სულაც არ გამიკვირდება, თინა ხიდაშელმა და მისნაირებმა მომავალში რომ განაცხადონ: **“მასწავლიდნენ, რომ მზე დილით ამოდის, ხოლო მთვარე ღამით ანათებს”** ან რამე მსგავსი. თუმცა ყველაზე საინტერესოა, ასწავლიდნენ თუ არა მათ **“წმინდა მიხეილის ჯგუფში”** სამშობლოს პატივისცემას, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, საკუთარი ხალხის გაფრთხილებას და სხვა ადამიანურ ღირებულებებს.

მოდი, აქ გავჩერდეთ, თორემ, მგონი, ისევ ოთარ რამიშვილისა და მისი **“სიდედრების”** თემასთან დავბრუნდებით და ჩემს მკითხველსაც მორიგ რიტორიკულ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა...

ᲑᲐᲙᲣᲠ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲝᲚᲣᲖᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲰᲥᲠᲜᲔᲜ...

23 წელზე მეტია ტანჯვა-წამებაშია ქართველი ერი, ამ ყოველივეს ვჭვრეტდით ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალების პერიოდიდან (იხ. **„აქტივისტები“** 1, 1998წ.) და აქ გამოთქმული მოსაზრებები ყველაფერი ძალაშია დღესაც, მითუმეტეს, რომ ყველაფერი ახდა!

ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდით და ვამხელდით, რომ ბევრი არასამთავრობო, ერთის შეხედვით რადიკალური, ორგანიზაცია პირდაპირ ძალოვანი სტრუქტურების ინსტუქციებით მოქმედებდა. დღეს ვიმეორებთ და ვამბობთ: დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აბსოლიტური უმრავლესობა, მთავრობის, პოლიტიკური პარტიების და ცალკეული ანგაჟირებული პიროვნებების ინსტუქციებით იქმნება და მოქმედებს!

აი რისთვის ვიბრძოდით, რას ვწერდით და რაზე ვაფრთხილებდით მაშინ ხალხს:

„ილუზიები გაჰქრნენ. ნებსით, თუ უნებლიედ ყველა დაადგა იმ გზას, რაც მათ ყოფაცხოვრებამ უკარნახა. იმ ყოფაცხოვრებამ, რომლის კომუნისტური ეპოქიდან უკვე „თავისუფალ და დემოკრატიულ“ საქართველოში გადმოტანა მოახერხა ედვარდ შევარდნაძემ და მართვის ერთადერთ ფორმად დაამკვიდრა: **„იკადრე ყველაფერი, მოერგე ამ ცხოვრებას და შენც წილში იქნები. იცხოვრე შენთვის, რა დროს საქართველოა!“** თვალსა და ხელს შუა გაჰქრენ ეროვნული იდეალები. ...და მაინც! როგორია ის მომავალი რომელთან შეგუებასაც გვიპირებენ? როგორი იქნება საქართველოსა და ქართველი ერისთვის ის ყოფაცხოვრება?

ეს იქნება სიცრუის, სიყალბის, მექრთამეობის, ბოგინო პროტექციონიზმის, ცრუ პატრიოტიზმისა და ვულგარული ინტერნაციონალიზმის ასპარეზი. ჩვენ გვეყოლება მსოფლიოში ყველაზე მეტი პოლიტიკოსი, მეცნიერი, ექიმი, ინჟინერი, გენერალი, იურისტი, მომღერალი, რეჟისორი, მოცეკვავე, ვუნდერკინდი მოსწავლე თუ სტუდენტი და ხალხი მაინც სიბნელეში იქნება. მონურ შრომაში ჩაბმული არსებობის ზღვარზე იცხოვრებს, პატიოსანი კაცი სამართალს ვერ იპოვის, დავმარცხდებით ბრძოლაში. საქართველოს ექნება ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ქართველი კაცი კონცეროგენული შხამით იქნება გაჟღენთილი. ჩვენი მარგანეცი, დარიშხანი თუ ბარიტი საერთაშორისო ბაზრებს დაამშვენებენ, ხოლო საქართველოში გაიხსნებიან მხოლოდ უცხოური კორპორაციები, ფირმები. სადაც ქართველ კაცს იმდენს გადაუხდიან თვიდან თვემდე თავი რომ ძლივს გაიტანოს. ჩვენი კურორტები უცხოელებით გადაიჭედება, ხოლო ქართველი მათი ფეხების ბანითა და პირისფარეშობით ნაშოვნი გროშებით აჭმევს თავის ოჯახს უმადურ ლუკმას.

მოკლედ, საქართველოს ექნება ძველებურად დიდი სახელი, ხოლო ქართველ ერს არ ექნება ის მთავარი, რის გარეშეც არ არსებობს არც ერთი ერი დედამიწაზე – მას არ ექნება ღირსება და ჭეშმარიტი თავისუფლება. იგი მოქცეული იქნება იმ ახალი მსოფლიო წესრიგის მარწუხებში, რომელიც არც მეტი არც ნაკლები ჰიტლერისეული ახალი ევროპული წესრიგის გაგრძელებაა და ემყარება უკვე ძალმომრეობას ინტერნაციონალიზმის ნიშნით. ქართველი ერი აღარ იქნება თვითმყოფადი ერი.

მთელი ევროპა და ამერიკა თითქმის ერთ ლათინთა ფუძე ენაზე ლაპარაკობს და წერს, მაგრამ მაინც არსებობს ფრანგი, ესპანელი, იტალიელი, გერმანელი, მექსიკელი, ნიკარაგუელი ერი. სომხეთი სომხური იყო და სომხური დარჩება მომავალში, აზერბაიჯანი თათრული, ჩეჩნეთი ჩეჩნური მაგრამ საქართველო აღარ იქნება ქართული. იგი ერთდროულად იქნება რუსულიც, სომხურიც, თათრულიც, დასავლურიც, აღმოსავლურიც და სინამდვილეში არ იქნება არაფერი. აი ამის შეგუებას ეშურებიან ახლა.

მაგრამ ყველა არ აპირებს შეეგუოს ამას. ჩვენ ვიცით რომ არა! ისინი კი არც ისე ცოტანნი არიან: ჭეშმარიტი მამულიშვილები, საქმის მცოდნენი, პროფესიონალები, სწავლულნი თუ უსწავლელნი, პატიოსანი ადამიანები. მათ დიახაც იციან უღირსად წარმოჩინებულთა ჟამი დგას ჯერ კიდევ, ამიტომაც სდუმან და ჩუმად იღწვიან. აი სწორედ მათი იმედი აქვს საქართველოს! მნიშვნელობა არ აქვს ვიცნობთ თუ არა ჩვენ ერთმანეთს. სწორედ მათ გადაარჩინეს ჯერ კიდევ საქართველო და ისინი იტყვიან საბოლოო სიტყვასაც. და თუკი ზოგიერთი მათგანი უიმედობას შეუპყრია მაინც, ვთავაზობთ ერთ ლექსს ეოზეფ რედიარ კიპლინგისა, რომელშიც მხოლოდ ორი სიტყვა შევცვალეთდა ამ ლექსით იხელმძღვანელონ მათ:

თუ თუ ძალგიძს დარჩე ძველებურად მშვიდი და მტკიცე
და არ დაიბნე, როცა თავგზა ებნევა ყველას,
თუ ძალგიძს სიმხნედ, შემართებად და რწმენად იქცე.
როცა შენს ირგვლივ მკვდარი არის შენდამი რწმენა;
თუ ძალგიძს მკაცრი მოთმინებით ელოდო ხვალეს,
ცრუს გაუტანელს არ მიაგო სიცრუე ავი,
მოძულეს შენსას მძულვარება შეუნდო მალე
და თანაც ქრისტედ არ აჩვენო არავის თავი.
თუ შეგიძლია სულში მარად ოცნება რეკდეს,
მაგრამ ოცნების არასოდეს არ გახდე მონად,
გამარჯვებას და დამარცხებას თანაბრად შეხვდე
და ამ ორ თაღლითს მიეგებო ტოლად და სწორად;
თუ შეგიძლია აიტანო სიმართლე შენი,
ბრბომ სულმდაბალმა ვით აქცია ხითხითის საგნად,
იხილო ერთ დღეს დანგრეული, სიცოცხლის დღენი
რასაც შესწირე და შეუდგე შენებას ახლად;
თუ შეგწევს ძალა მაგიდაზე დაყარო ჩალად,
რაც გაგაჩნია, გიშოვია ოფლით და სისხლით,
წააგო წყნარად, წაგებული ჩათვალო არად,
იშოვნო კვალად და სასწორზე შეაგდო რისკით;
თუ შეგწევს ძალა წარბი შეჰკრა, მოთოკო გული,
მოუხმო ნერვებს, გამაგრდე და ივარგო ასწილ,
ეს მაშინ, როცა სულიერად დაღლილს და დაცლილს
ნებისყოფაღა გეუბნება: „წინ მეთქი გასწი!“
თუ შეგწევს ძალა ბრბოში იყო და დარჩე კაცად,
მეფეებს ახლდე და გახსოვდეს ყოველთვის ხალხი,
შენი ღირსება არ დაკარგო არაოდეს არსად,
მტერ მოყვარესთან პირდაპირი იყო და ლაღი;
თუ შეგწევს ძალა, გაიზიარო ყოველი წუთი,
აზრით დატვირთო სამოცივე ფეხმარდი წამი,
მაშინ შენია ჩემო კარგო ეს საქართველო,
მამულიშვილიც მაშინ გქვიან და გერჭვას – ამენ!“

/„აქტივისტები“, 1, 1998წ./

ეს შესანიშნავი ლექსი ორ ათეულ წელზე მეტია იქცა ჩვენი ცხოვრების კრედოდ! ამჟამად კი, როდესაც უკვე შორიდან მოისმის გუგუნი აზვირთებული ქართული სულისა, ჩვენს მხრივ დავამატებდით:

თუ შეგიძლია გაითავისო ზემოთ თქმული
და შენს ცხოვრებაში დატოვო ნათელი ხნული!
არ გეგონოს, ასეთი მხოლოდ შენ ხარ ეული,
უიმედობით არ ჩაფერფლო გული რჩეული!
გჯეროდეს! ინებებს ღმერთი, მოიყვანს ისეთ ჟამს,
ზარების რეკვით, როდესაც ყველას მოგვიყრის თავს!
ქართული სული აღორძინდება იმავე წამს!
ახდება ნატვრა – საქართველო კვლავ გაბრწყინდება!!! ამენ!

ᲑᲘᲐ ᲩᲣᲗᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ალექსანდრე ჭაჭია: შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქართველი ერის სასიცოცხლო არეალი მკვეთრად შემცირდა

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

რასაკვირველია, ასეთი მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების დადებისათვის აუცილებელია აქტიური, მაღალკვალიფიციური და თანმიმდევრული საქმიანობა როგორც პრეზიდენტის, ასევე საგარეო პოლიტიკური უწყების მხრიდან. მაგრამ როდესაც ქართული დიპლომატიის საქმიანობას აფასებ, იბადება კითხვა: არსებობს კი საქართველოში დიპლომატიური სამსახური? რითაა დაკავებული საგარეო საქმეთა სამინისტრო, გარდა უნაყოფო ნოტების გაგზავნისა და წინასწარ განწირული წინადადებების შეთავაზებისა? ეს ფრანგი ქალბატონი თავისი გარეგნობითა და ქცევით დიდ სიმპათიას იწვევს, მაგრამ ის მართლა კარგი მინისტრი იქნებოდა სადმე ჰოლანდიასა თუ ლუქსემბურგში, სადაც საჭიროა მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების შენარჩუნება ევროპულ მეზობლებთან, მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევალება გარესამყაროსთან ურთულესი ურთიერთობების გარღვევა, თვისობრივად ახალი კავშირების ჩამოყალიბება. პირველ რიგში, ეს რუსეთთან ურთიერთობებს ეხება, რომელიც ზურაბიშვილისთვის ისეთივე შორეული და გაუგებარია, როგორც ჩინეთი თუ ინდონეზია. მოგეხსენებათ, ქვეყნის დიპლომატიური სამსახურის მოვალეობა არა მარტო პრეზიდენტის უნაყოფო ვიზიტების მომზადებაა, არადა სხვა რაიმე მათი წარმატება ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია.

რუსეთთან ურთიერთმისაღები ურთიერთობების დამყარების პარალელურად აუცილებელია ინტეგრაციული პროცესებით აფხაზური მხარის დაინტერესებაც. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხოლოდ ძალით გადაწყდება გაერთიანების პრობლემა; რაც უფრო ნაკლები იქნება ძალისმიერი ზეწოლის აუცილებლობა, მით უფრო შედეგიანი იქნება კონფლიქტის მოგვარების მცდელობა! მრავლისმეტყველია აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის ტუუბას ამასწინანდელი ინტერვიუ: **„აფხაზეთში ცხოვრების დონე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში და ეს რუსეთის დამსახურებაა. აქ თითქმის ყველა რუსეთის მოქალაქეა და რუსეთის პენსიებს იღებს. ხალხს ვერ აიძულებ, იქ წავიდეს, სადაც უარესია, სადაც სიღატაკეა. სააკაშვილი ჭკვიანი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, საქართველოში ჯერ ცხოვრების დონეს აწევდა, ხოლო შემდეგ აფხაზებს დიალოგს შემოგვთავაზებდა“.** რით შეიძლება აფხაზური მოსახლეობა დავაინტერესოთ? ეკონომიკური ზრდით, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებით, ერთობლივი ეკონომიკური პროექტებით. ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია პროდუქციის წარმოების გარეშე, პროდუქციის წარმოება კი დამოკიდებულია ინვესტიციებსა და სამომხმარებლო ბაზარზე. გასული 10 წლის განმავლობაში ყველასათვის, მგონი, გასაგები გახდა, რომ სერიოზულ დასავლურ ინვესტიციებს ჩვენ ვერ მივიღებთ: დასავლური კაპიტალი არ ჩადებს მსხვილ თანხებს არშემდგარ სახელმწიფოში, სადაც ნებისმიერ დღეს შეიძლება ომი დაიწყოს გამოყოფილ ტერიტორიებთან (ჩვენმა ხელისუფლებამ ცხინვალის ავანტიურით ეს დაამტკიცა კიდეც). დასავლეთს, როგორც ეს შევარდნაძის დროს იყო, შეუძლია კრედიტები მოგვცეს, რათა კიდევ უფრო დაგვაკაბალოს, ან შეისყიდოს ის, რისი გატანაც დაუყოვნებლივ შეიძლება: საქართველოს უკვე აქვს დასავლეთის ვალი 2 მილიარდ დოლარზე მეტი, მაგრამ ნუთუ ჩვენთან გაჩნდა ახალი ქარხნები, ფაბრიკები, შემოტანილია თანამედროვე ტექნოლოგიები, აღორძინებულია სოფლის მეურნეობა? ჩვენ კრედიტები კი არა, ინვესტიციები გვჭირდება! გადამწყვეტი საინვესტიციო კაპიტალი, პირველ რიგში, კერძო კაპიტალი, შეიძლება მხოლოდ რუსეთიდან შემოვიდეს, მაგრამ ეს არ იქნება მანამ, სანამ არ მოგვარდება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები. გაიხსენეთ, როგორი ინტერესი გამოიჩინეს რუსეთის ბიზნესმენებმა საქართველოს მიმართ პუტინის და სააკაშვილის პირველი, დამაიმედებელი შეხვედრის შემდეგ: თბილისში ჩამოვიდა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, შეუდგნენ ერთობლივი პროექტების შემუშავებას და ა.შ. მაგრამ როგორც კი ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები არ გაუმჯობესდებოდა, ყველაფერი გაიყინა. გარდა ამისა, ჩვენი პროდუქციის რეალიზაციის ბაზარიც მხოლოდ რუსეთი და დსთ-ს ქვეყნებია. როგორც კი რუსეთმა, ისევ ჩვენი პოლიტიკოსების **„წყალობით“**, ქართული ღვინის იმპორტი შეამცირა, მაშინვე აღმოჩნდა, რომ კახელი გლეხისაგან არავინ იბარებს ყურძენს. თქვა უარი რუსეთმა ქართულ ჩაიზე და ჩვენი პლანტაციები მიტოვებული ან გაჩეხილი აღმოჩნდა. არა აქვს ქართლელ გლეხს საშუალება, რუსეთში გაიტანოს ხილი და იჩეხება შესანიშნავი ბაღები; და რა სანაცვლოდ? იყიდონ ჩვენმა **„მეგობრებმა“ ნატო**-დან ქართული ყურძენი – აი რეალური დახმარება იქნება სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში! არ იყიდიან, ვინაიდან ასეთ აღორძინებაში დასავლეთი არ არის დაინტერესებული: მათ თვითონ სჭირდებათ ბაზარი საკუთარი პროდუქციის გასაღებისთვის! ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური ღვინო მილიონობით დეკალიტრით იყიდება რუსეთში და პრაქტიკულად განდევნეს ქართული ღვინო. ინგლისური ფირმების მიერ მოწოდებული ცეილონური და ინდური ჩაი დევს რუსეთის მაღაზიების თაროებზე ქართულის ნაცვლად, ხოლო ხილს ესპანეთი, ისრაელი, მაროკო და ავსტრალიაც კი უგზავნის. უსაზღვროა რუსეთის ბაზარი! ეს ყველას ესმის, გარდა საქართველოს შევარდნაძისეული და დღევანდელი ხელისუფლებისა. ბუნებრივია, ჩვენ სრულად ვერასოდეს დავიბრუნებთ იმ პოზიციებს რუსეთის ბაზარზე, რაც საბჭოთა პერიოდში გვქონდა, მაგრამ ნორმალური სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების პირობებში სავსებით შესაძლებელია ბაზრის ისეთი სეგმენტის ათვისება, რომელიც ჩვენთვის საკმარისი იქნება. ვთქვათ, მოსკოველებს ვერ მოაბრუნებ ქართული ჩაისკენ, მაგრამ სახელმწიფო პროტექციონიზმის მეშვეობით სავსებით რეალურია ჩვენი ჩაით რუსეთის არმიის ან ციხე-კოლონიების მომარაგება. მეტი არც გვჭირდება.

სხვათაშორის, ეკონომიკის აღორძინების აუცილებლობის ფონზე სრულიად გაუგებარია სააკაშვილის განცხადება, რომ **„ყოველი ზედმეტი თეთრი“** ჯარის მოთხოვნილებებზე მიიმართება. ჯერ ერთი, ზედმეტი თეთრი საქართველოში არ არის. მეორე – ძლიერი არმიის შესაქმნელად ჯერ აუცილებელია ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბება, ვინაიდან არმიის შექმნა ერთჯერადი აქტი როდია, ეს მუდმივი პროცესი გახლავთ, რომლის განხორციელება მხოლოდ სტაბილურად განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ძალუძს. და მესამე, ვისთან აპირებს ომს ჩვენი ხელისუფლება? ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ დღესაც ძალუძთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, მაგრამ აფხაზებსა და ოსებს უკან რუსეთის არმია დგასო. ე.ი. ჩვენ ვამზადებთ ჯარს, რომელიც შეძლებს რუსეთის არმიის დამარცხებას? ეტყობა, ასეთი **„სტრატეგიული გეგმა“** შეიმუშავეს ჩვენმა ახალმა **„სარდლებმა“**. აბა, ტყუილად ხომ არ მოგვიწოდებს ესა თუ ის საპარლამენო **„სტრატეგი“** ტელევიზიის ეკრანიდან: **„უნდა ვიყოთ მზად რუსეთთან ომისთვის“, „ღირსეულად ვუპასუხოთ რუსეთის აგრესიას“** და ა.შ. ერთხელ უზენაესი საბჭოს ერთმა დეპუტატმა ზვიად გამსახურდიას მოსთხოვა რუსეთისათვის ომის გამოცხადება. ზვიადმა მას ურჩია ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობა. მაგრამ მაშინ ერთი ასეთი დეპუტატი იყო, რაღა ვქნათ დღეს, როდესაც ასეთები უმრავლესობას წარმოადგენენ პარლამენტსა და მთავრობაში?..

მე იშვიათად ვუყურებ ტელევიზორს, განსაკუთრებით, საინფორმაციო და პოლიტიკურ პროგრამებს. ადრე არ შემეძლო იმის მოსმენა, თუ როგორ იტყუებოდა შევარდნაძე და მისი ამალა, ხოლო დღეს თვალი ადევნო ამჟამინდელ პოლიტიკოსებს, საკმაოდ დამტანჯველი მეცადინეობაა, როგორც ინტელექტუალური, ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ „ღრმადშინაარსიან“ გამოსვლებს არანაკლებ „ერუდირებული“ ჟურნალისტების კომენტარი ემატება „დამოუკიდებელ“ არხებზე, მაგრამ ტელეეკრანებზე იშვიათი თვალის შევლებაც კი საკმარისია, რომ ცალსახა დასკვნა გამოიტანო: დაკარგული ტერიტორიების პრობლემასთან მიმართებაში შევარდნაძისეული პოლიტიკის მარაზმი ისევ ყვავის და თანაც – უალტერნატივოდ. თუ ადრე დაზეპირებულ უაზრო ფრაზებს რუსეთთან მიმართებაში **„ხისტი პოლიტიკის“, „ზემოქმედების ბერკეტების“, „მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერის“** შესახებ უხალისოდ იმეორებდა მოხუცი და დაღლილი შევარდნაძე, დღეს იგივე სისულელეს მკვირცხლად, სამაგალითო ხუთოსანი მოსწავლესავით იმეორებს ბუნჯანაძე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ქალბატონმა, რომელიც, მისივე სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, მუდმივად მხოლოდ ორ მდგომარეობაში იმყოფება (**„ძალიან ბედნიერი“** ან **„ღრმად შეშფოთებული“**), დაიზეპირა რამდენიმე ტექსტი, რომლებსაც სიტუაციიდან გამომდინარე სხაპასხუპით იმეორებს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ტექსტში არცერთი კონკრეტული აზრი არ არის ჩადებული! მაშინ კი, როდესაც ერთ ხაზში ჩამწკრივდებიან მისი **„გონების მეგობრები“** – ნადირაძე, ბოკერია, თარგამაძე და სოროსის ინტელექტუალური ინკუბატორის სხვა ბარტყები, ძალაუნებურად ხელს თავში წაიშენ – ესენი ააღორძინებენ საქართველოს?!

თითქმის ერთი წელია, რაც პრეზიდენტი, სპიკერი, დეპუტატები და მინისტრები განუწყვეტლივ საზღვარგარეთის ვოიაჟებში იმყოფებიან, რაზეც ღატაკი ქვეყნის ბიუჯეტის ასიათასობით დოლარი იხარჯება. ხომ არ არის დრო, დავინტერესდეთ, ამ მოგზაურობებს რაიმე რეალური შედეგი აქვს თუ არა? ასეთი ვიზიტების უაზრობის თვალნათელი მაგალითია ჩვენი დეპუტატების სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მოგზაურობა. იქიდან დაბრუნებულმა **„ძალიან ბედნიერმა“** ბურჯანაძემ მკვირცხლად უპატაკა ჟურნალისტებს, რომ საქართველოს დელეგაციამ არნახულ წარმატებას მიაღწია, **„ასით ნოლი მოუგო რუსეთს“**, რუსეთში, თურმე, **„ისტერიკაში ჩავარდნენ“,** ხოლო **„მთელი ევროპა ჩვენ გვიჭერს მხარს“** და ა.შ. დელეგაციის სხვა წევრები სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდნენ და ხალხს ულოცავდნენ **„ქართული პოლიტიკის უდიდეს საერთაშორისო წარმატებას“,** ტელედიქტორები კი აღფრთოვანებისაგან ლამის გონებას კარგავდნენ. არცერთ ჟურნალისტს არ ეყო ჭკუა და ინტელექტი, მშვიდად ეკითხა: **„ბოდიში, კონკრეტულად რა მოუტანა საქართველოს თქვენმა ვიზიტმა? თქვენ წინ წაიწიეთ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაში? თქვენ აიძულეთ რუსეთი, რაიმე დათმობაზე წასულიყო? თქვენი ზეწოლით რუსეთმა აიღო ვალდებულება, დახმარება გაუწიოს საქართველოს? იქნებ, ევროპის ქვეყნებიდან ინვესტიციები მიიღეთ? იქნებ, ევროპამ ქართულ პროდუქციას საკუთარი ბაზარი გაუხსნა?“** თუ არა, მაშინ ვის სჭირდებოდა ეს ვიზიტი, რაში მდგომარეობს მისი შედეგი? რომელ წარმატებაზეა საუბარი? ვიზიტის გარეგნული მხარეც რომ ავიღოთ, ისიც სამარცხვინო აღმოჩნდა. ჩვენი დელეგაციის ყველა თხოვნას ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობამ უარით უპასუხა. საქართველოს დელეგაცია ითხოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თაობაზე სპეციალური მომხსენებლის დანიშვნას – მიიღო უარი. ითხოვდა ამ საკითხებზე სპეციალური კომისიის შექმნას – მიიღო უარი. ითხოვდა საკითხის განხილვის შემდეგ რეზოლუციის მიღებას – მიიღო უარი. შედეგად ჩატარდა საკითხის სასაცილო, დამამცირებელი განხილვა ცარიელ დარბაზში (ეს ტელევიზიით კარგად ჩანდა). არანაირი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, ხოლო საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა ბურჯანაძეს ურჩია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განხილვა ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში, რასაც რუსეთის დელეგაცია თავიდან სთავაზობდა. მაშ, სად არის **„გრანდიოზული წარმატება“**? წარმატება არ არის, სახეზეა მორიგი მარცხი. საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მას არ ძალუძს რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება, ანუ არ ძალუძს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და ეკონომიკური აღორძინების პრობლემის გადაწყვეტა.

დიპლომატიის იმ **„გენიოსს“,** რომელმაც გადაწყვიტა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განსახილველად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გატანა, მინდა შევახსენო: ევროპის საბჭო წარმოადგენს აბსოლუტურად ქმედითუუნარო ორგანიზაციას, რომლის გადაწყვეტილებებს არანაირი ძალა არ გააჩნია; ეს არის სიმბოლური ორგანო, რომელიც შეიქმნა იმ პარლამენტარებისთვის, ვინც საკუთარ ნაციონალურ პარლამენტებში ლაყბობით ვერ კმაყოფილდება. გარდა ამისა, რუსეთი არის ამ ორგანიზაციის ყველაზე მსხვილი დონორი (თუ არ ვცდები, ყოველწლიურად 22 მილიონ ევროს იხდის), ე.ი. ამ უსარგებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხელფასს ძირითადად რუსეთის საწევროს ხარჯზე იღებს. ვისთვისაც გაუგებარია, გიხსნით: სიტუაცია დაახლოებით ისეთივეა, როგორც საქართველოს ხელისუფლების შემთხვევაში გვაქვს, სადაც მთელი ბიუროკრატიული აპარატი, პრეზიდენტით, მინისტრებით, დეპუტატებით დაწყებული და პოლიციელებით დამთავრებული, ხელფასს სოროსისაგან იღებენ. როგორც ჩვენს ხელისუფლებას არ შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, მითუმეტეს, სოროსის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება, ასევე (ბუნებრივია, ნაკლები დოზით) ევროსაბჭოსაც არ აწყობს ძირითად დონორთან წაჩხუბება შორეული, ღატაკი საქართველოს გამო. მაშ, რა მივიღეთ ჩვენ ბურჯანაძისა და კომპანიის სტრასბურგში ვიზიტისაგან? გარდა სოლიდური თანხების ხარჯვისა, დამამცირებელ-დამცინავი დამოკიდებულებისა რუსეთის დელეგაციის მხრიდან, რომელიც გამოიხატა ერთ-ერთი დეპუტატის **„აღიარებაში“**, რომ სპილომ ფრთხილად უნდა იმოძრაოს, რათა შემთხვევით ლეკვს არ დააბიჯოსო...

სამწუხაროდ, გრძელდება წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრებული უცხოეთში უაზრო ვიზიტების პრაქტიკა, რის შემდეგაც ტარდება პომპეზური პიარკამპანიები საზოგადოების დარწმუნების მიზნით, რომ ვიზიტი, თურმე, იყო **„ისტორიული“, „გრანდიოზულად წარმატებული“, „გარდამტეხი“** და ა.შ. ვარდების სამეულის წინამორბედებს შეზღუდული ლექსიკური მარაგი ჰქონდათ და ამიტომ მალე მოგვბეზრდა მათი მოსმენა; ახალ მმართველებს კი უფრო მდიდარი ლექსიკა გააჩნიათ და უფრო დახვეწილად იტყუებიან. უბედურება იმაშია, რომ უაზრო ლაყბობით ქვეყნის დაღუპვას ვერ შეაჩერებ...

საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის დრო თითქმის არ დარჩა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში. 2008 წელს პუტინი პრეზიდენტის თანამდებობიდან წავა. რუსეთის შემდეგი პრეზიდენტი არც განიხილავს ამ საკითხს, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ბოკერია ან არველაძე არ აიძულებს მას ევროსაბჭოში „ხისტი“, „უკომპრომისო“ გამოსვლით... მაშასადამე, დაგვრჩა 3 წელიწადი. ჩვენ უფლება არა გვაქვს, ეს ფასდაუდებელი დრო დავხარჯოთ პრეზიდენტის ტელეკამერების წინაშე თვითტკბობაზე, საზღვარგარეთ უშედეგო ვიზიტებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე ლაყბობაზე, რომელიღაც ამერიკული კურსებდამთავრებული გაუნათლებელი ჭაბუკების ტელედებატებზე. ბოლო წლის განმავლობაში, ისევე როგორც შევარდნაძის პერიოდში, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩეს. ნებსით კეთდება ეს თუ უნებლიეთ? თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელების ასაკს, სუსტ განათლებას და გამოუცდელობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ არ უწყიან, რას აკეთებენ. მაგრამ თუ მათი ქცევა და მოქმედება არ შეიცვლება, მაშინ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – ხელისუფლებამ თავისი პატრონებისაგან და სპონსორებისაგან პირდაპირი მითითება მიიღო, რომლის არსი შემდეგია: საქართველო უნდა გახდეს სატრანსპორტო დერეფანი, სტაბილური და კონტროლირებადი ტერიტორია, ამიტომ მის შემადგენლობაში ავტონომიების არსებობა ჩვენთვის მიზანშეუწონელია, ვინაიდან სტაბილურობის, ანუ ნავთობისა და გაზსადენების, სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გარანტიას არ იძლევა; ამიტომ ქართველებმა ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრი უნდა დაივიწყონ. ასრულებს თუ არა ახალი ხელისუფლება სწორედ ამ მითითებას, უახლოეს მომავალში გამოჩნდება...

ალექსანდრე ჭაჭია

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ – ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲔᲫᲔᲑᲓᲘ!

ბელინსკის აქვს საინტერესო განმარტება ადამიანზე: **„ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს, ისტორიას კი თავისი კრიტიკული მომენტები: ადამიანზე შეუცდომლად შეიძლება იმსჯელო მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ მოქმედებდა და როგორია იგი იმ მომენტში, როდესაც ბედის სასწორზე იდო მისი სიცოცხლეც. ღირსებაცა და ბედნიერებაც.”** – საგულისხმო ნათქვამია.

მართლაც, ყველა ადამიანი მისეული ნიშატით, მადლითა და მანკიერებებითაა გამორჩეული. რაც არ უნდა ვიგულისხმოთ ადამიანის ცნებაში, იგი არ არის ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი რამ, ესაა სულის ლტოლვა, შორეული და სასურველი, ამასთან სახიფათო მცდელობა იყოს ბედნიერი. სრულყოფილებისაკენ მხოლოდ მისხალ-მისხალ სავალი გზა მიემართება. ამ გზაზე სიარული რთულია, მაგრამ საპატიოც. და ვინც მოახერხებს ამ სავალის ღირსეულად გავლას, ის ჭეშმარიტი ადამიანია.

ხშირად გვესმის, რომ ნამდვილი კაცები უკვე აღარ არიან, ერთეულების გარდა ყველანი საკუთარი ნაჭუჭში ჩაიკეტნენ და გარეთ არ იხედებიანო. მაგრამ დავრწმუნდი ჩვენი ცხოვრების ამ გავერანებულ უდაბნოში, შეიძლება მბეუტავი ღვთაებრივი ლამპარი შენიშნო, იპოვო ადამიანი.

თბილისიდან მიკროავტობუსით სამეგრელოსაკენ მგზავრობისას, ჩემს გვერდით აღმოჩნდა შუაასაკოვანი ქალბატონი, რომელიც საოცარი კმაყოფილებით მესაუბრა საწარმო **„არქეოპოლისის“** ხელმძღვანელ დემურ გადელიაზე. **„მრავალშვილიანი დედა ვარ, რომ არა ის ღვთისნიერი ადამიანი ერთი შვილი ნამდვილად დამეღუპებოდაო... ვის არ მივმართე, ვის არ ვთხოვე დახმარება, სოციალურმა სამსახურმა მიზერული თანხა გამოყო, იმ დალოცვილმა კი ქალიშვილი სიკვდილს გადამირჩინაო“,** გამოხატა მადლიერება ადამიანის მიმართ, რომელსაც თურმე მხოლოდ ერთხელ შეხვდა და საკუთარი ოჯახის სიდუხჭირე და მდგომარეობა აუხსნა. სწორედ იმ ქალბატონმა ბრძანა **„ვიპოვე ღვთისნიერი ადამიანი, რომელსაც ვეძებდიო“.**

გონებაში კეთილად ჩამრჩა სიტყვები **„ვიპოვე ადამიანი რომელსაც ვეძებდი”.** შეუძლებელია არ დავინტერესებულიყავი იმ პიროვნებით, რომელსაც ეკუთვნოდა ეს სამადლობელი სიტყვები. ცნობილია დ. გადელიას სიქველე და გულისხმიერება. თუ თვალს გადავავლებთ მის წარსულ საქმიანობას შეუძლებელია არ აღფრთოვანდე. მან მძლავრი საწარმო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა მექანიზაციისა და ავტოსატრანსპორტო გაერთიანების სახით. როცა დადგა გაუსაძლისი შიდა არეულობის, სამოქალაქო დაპირისპირებისა დრო, როცა ძმა – ძმას დაუპირისპირდა, ქვეყანაში პირწმინდად განადგურდა რაც წლების განმავლობაში შეიქმნა, ანუ როცა აღმოჩნდით უგუნურების პიკში. ვერ შევიგნეთ, რომ რაც გაგვაჩნდა მას მოვლა და რუდუნება სჭირდებოდა. სამწუხაროდ, არ დარჩა არცერთი საწარმო, რომელმაც შესძლო ფუნქციონირების გაგრძელება. თუმცა ამ გაპარტახების, მოშლის, მიტაცების პერიოდში გამონაკლისი დემურ გადელიას ორგანიზაცია აღმოჩნდა. სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა ტექნიკა, ტერიტორია და ჩამქრალი, გაცამტვერებული ყოფის პირობებში შესძლო ნამდვილ მზრუნველ მეწარმედ დარჩენილიყო. მოახერხა თანდათან აემოქმედებინა ორგანიზაცია, შემოიკრიბა ძველი და ახალი თანამშრომლები და ჩამოაყალიბა ორგანიზაცია სახელწოდებით **„არქეოპოლისი“.**

წლები მოანდომა შეეძინა ახალი და თანამედროვე ტექნიკა და გაეგრძელებინა საქმიანობა, რომელიც მოიცავს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონს. **„არქეოპოლისის“** წარწერით ტექნიკასა და მანქანებს ნახავთ რაჭაში და მესტიის მიმართულებით გზის მშენებლობაზე, ჩხოროწყუს თუ ფოთის ტერიტორიაზე, იმერეთსა თუ გურიაში...

ილია ჭავჭავაძეს გონივრულად აქვს ნაბრძანები: **„ქვეყანა ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს“**-ო. ეს მცნება შეიძლება მიუსადაგო დემურ გადელიას საქმიანობას. ის გახლავთ ცოცხალი მაგალითი, თუ როგორ ექცეოდა ყოფილი **„ნაცების“** ხელისუფლება ნამდვილ, მეურნე, მზრუნველ ადამიანებს. ჯერ მესტიამდე გზის ურთულესი 30 კილომეტრიანი გზა მოაწყობინეს გვირაბებითა და შავი საფარით, შემდეგ ეულად თავს დაესხნენ, და როგორც ტაძრის ამგებს **„რატომ კარგი აგიგიაო“** – მკლავი მოსჭრეს – ორმოცდაათამდე სპეცრაზმელმა საწარმოოს ალყა შემოარტყა, დოკუმენტაცია გაიტაცა, თავად ხელმძღვანელი მდინარის პირზე ჩაიყვანეს, ფიზიკურად გაუსწორდნენ. რაც ებადა წაგლიჯეს...

ეს იყო ბარბაროსული გამოვლინება. დამცირება, სიმწრით აღორძინებული და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებული საწარმოოს მოშლის, განადგურების, გაკოტრების კლასიკური მაგალითი.

ყველაფერი უნდა დასრულებულიყო. საწარმოს კარებზე ჟანგიანი ბოქლომი ჩამოეკიდა, ქუდი დაეხურა და ხელი აეღო რუდუნებით შექმნილ საქმიანობაზე. იყო ამგვარი ფიქრიც, რომ არ ღირს გარჯა და საქმიანობა. სამწუხაროდ ადამიანებს ხშირად უდგებათ სასოწარკვეთის, სულიერი კვდომის შავბნელი წუთები. მაგრამ ამ ურთულეს ჟამსაც გამოავლინა დ. გადელიამ შინაგანი უტეხობა და ნამდვილი მეურნის თვისებები. არ დანებდა, არ ჩაიმუხლა, არ ჩამოყარა ხელები. პირიქით, გვერდზე დაიყენა თანამოაზრენი, რომლებიც მზად აღმოჩნდნენ თვეობით უხელფასოდ ემუშავათ, და ასე, თანდათან, ისევ ფეხზე დააყენა საწარმო.

მის ცხოვრებას ბედისწერის ლანდივით გასდევს, წელში გამართვის, ჩამუხვლა-დაცემამდე მიყვანისა და ისევე ადგომის რთული პერიოდი. და ეს აღდგომა ასობით ადამიანის დასაქმებაში, მათი შრომის დაფასებაში, გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარებაში გამოიხატება.

რადგან საწარმო არ მენახა, თავს უფლება მივეცი შორიდან მაინც თვალი შემევლო, რით არის ახლა გამორჩეული **„არქეოპოლისი“**?! ფაქტიურად სენაკის რაიონში თხილის გადამამუშავებელი კერძო საამქროებისა და მომრავლებულ ბანკებს გარდა არაფერი მუშაობს.

ადამიანი, როცა საწარმოს ეზოში დამონტაჟებულ მაღლივ **„აგრეგატებს“** დაინახავ (მათი დანიშნულება არ ვიცი), ერთი შეხედვითაც დარწმუნდები, რომ აქ საქმიანი გარემოა. ასფალტით, ღორღით, ცემენტით დატვირთული მძიმეწონიანი სატვირთო მანქანები მიმოდიან, დგას ხმაური, მტვერი და ბუღი... სჩანს შრომობენ, ირჯებიან. სასიამოვნო განცდა გეუფლება ასეთ დროს და კმაყოფილებით გევსება გული.

ეს ადგილი თითქოს პატარა მოციმციმე, ნათელი ალაგია, სადაც ადამიანთა დიდი ჯგუფი მოღვაწეობს. იგი არა მხოლოდ ერთეულთა ხელის გამმართველი და გაჭირვების ტალკვესია. მის სახელთანაა დაკავშირებული სამოქალაქო ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისადმი მთავრობისაგან მატერიალური და ფინანსური დახმარების გამოყოფა. დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა, წმინდა ალექსი ბერის სახელობის ტაძრის მშენებლობა, მარტვილის საკათედრო ტაძრამდე მისასვლელი გზის დაგება. სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლეში მდინარე **„ონტოლოზე“** ქვის თაღოვანი ხიდის მშენებლობა. ზუგდიდში, აბაშაში, მარტვილში, ხონში, ქუთაისში, ზესტაფონში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობისა და აღდგენაში აქტიური მონაწილეობა. გაჭირვებაში მყოფთა სამშენებლო მასალებით დახმარება და ასე შემდეგ...

იგი არ გავს ოცნებებით ფრთაშესხმულ ყმაწვილს. არასდროს უმზერს ადამიანებს ცივი მზერით, არც ყალბი თავაზიანობით. არ თამაშობს მოგონილი ილეთებით. მიუხედავად პირადი და ოჯახური ტრაგედიებისა (დაკარგა მეუღლე, ძმები და უახლოესი ადამიანები) არ შეცვლილა მისი რწმენა, სიცოცხლისმოყვარულობა. არ დამდგარა ცხოვრების კიდეზე, პირიქით ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და ცდილობს აქტიური, სხვებისადმი კეთილგანწყობის მდგომარეობა შეინარჩუნოს.

იგი ნახევრად არაფერს აკეთებს. მრავალშვილიან, ეკონომიკურად დუხჭირ ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა, იცის გარჯის ფასი, სწამს და სჯერა ადამიანებისა და საკუთარი გამოცდილებისა. ვერ ეგუება უგულო, უქნარა პიროვნებებს. დარწმუნებული ვარ არასდროს განუდგება საკუთარ თავს, რწმენასა და ქვეყანას. ჭეშმარიტად სისხლსავსე ცხოვრება ანიჭებს კმაყოფილებას და სხვანაირად არ შეუძლია.

ერთეულთა შორის მართლაც აღმოვაჩინე მეცენატი, მეურნე ადამიანი, როგორც მითხრეს, რომლის სამუშაო დღე დილის ექვს საათზე იწყება და გვიან დამე მთავრდება. ის არ ირგებს ნიღაბს, მან მართლაც შექმნა საკუთარი პიროვნება, თავისი პოზიცია, თავისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. იგი ცხოვრობს და შრომობს იმ პრინციპით და ზნეობრივი ნორმებით, როგორიც საკუთარ საქმიანობაში აქვს დამკვიდრებული.

საქმიანი თვისებების გამო, ორჯერ გამოუცხადა სენაკის მოსახლეობამ ნდობა და იყო არჩეული პარლამენტის წევრად. იგი არ ჩამდგარა პულტზე ხელის დამჭერთა რიგში, იყო საკუთარი ამომრჩეველზე მზრუნველი. არც სამეცნიერო ხარისხი დაუცავს იმისათვის, რომ საკუთარი განსწავლულობა წარმოეჩინა. ყველაფერს პასუხს სცემს საწარმოს გამართულობა, რომელსაც უძღვება, ის საქმიანობა და ის ადამიანები, რომელთანაც ერთად დგას ქვეყნის მშენებლობის რიგებში.

ამისთვის ღირს ამქვეყნად არსებობა და მოღვაწეობა.

ადამიანი არ არის დროის გარკვეული ქრონოლოგიაში ჩატეული არსება, რომელიც იბადება ამა და ამ წელს და კვდება ამა და ამ წელს. ადამიანი იწყება იქ, როცა გამოავლენს მის კეთილშობილურ დიად ძალას. აქვს საშუალება უფლით მონიჭებული სიცოცხლის ჯილდო მოახმაროს სხვათა ბედნიერებას. ტოვებს კვალს, გულთან გულით ნაამბორალს, მარადიულ სუნთქვასა და ხიბლს.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
ᲐᲙ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲘᲐᲢᲘ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ

ღვთიურ სამართლის მუდამ მორჩილი,
მით არავისთვის ვარ მიმზიდველი;
არც ბუმბერაზი, ვარ ტანმორჩილი,
ცოდვა და მადლის მხრებით მზიდველი.

ერთგული ვარ და ვიცი დანდობაც,
ადამის მოდგმის გავჩნდი მსახურად;
გაჩენისათვის განა მადლობა,
უფალმა როდი დაიმსახურა?!

სასუფეველი სამი ადლია...
სულიც უხორცოდ ნუ გეგულებათ;
არგაჩენა ხომ დიდი მადლია,
ხოლო გაჩენა – უბედურება.

ნურვინ იფიქრებს სიკვდილს ვუმღერი,
პირიქით: მზარავს სიკვდი-ვამპირი,
და აღარცა ვარ ხეპრე-უბირი,
კოდევ ვიწამო მე სხვა ნაპირი.

ო, ადსასრულო, ვიტყვი მანამდე,
სანამ მსახვრალად მომევლინები...
ვერც საიდუმლოს რამეს გაგანდობ,
ხარ მესაფლავე ყოველ იმედის.

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲯᲘᲫᲘᲐ, ჩხოროწყუ, ლესიჭინე

ᲡᲐᲛᲐᲠᲒᲐᲚᲝ, ᲩᲥᲘᲛᲘ ᲝᲠᲥᲝ ᲬᲣᲬᲔᲚᲘ

სამარგალო, ჩქიმი ორქო წუწელი,
სქანოთ მოკო ბდაღაზუე ფურცელი,
ორქოში ფარა, ქარღადიშშა ხურდელი,
თხუმუში ტყას ხვალე ფალუ ურთხელი.
სქანო დიო ვაგოთანე, სერი რე,
ჯიმალობას გიცხადენდ ნ ტერი-რე
ხინტკირიაში ლააფიქ ვეგეთუ
სქან მეზობელქ, სქანი ლაფით გეკეთ,
ინეფ ეფშა ყანწის შუნა, ქექეთ .
გოკურცხი წიე, მიშური გიბონი ხერკეთ
ჭითა რაშის მუშენ ორწყექ ჭერჭეთ
ოცქვაფური ჩქ ნი დრო მოურც ქუჯიშე
ჭკვეას ორდა დოხვალამა ქუჭიშე.
ირფელი მოურც აზრიშე დო ნიჭიშე
ჭყონი ფალუნც ირო ჭყონიში ჯინჯიშე.
სამარგალო ჩქიმი ორქო წუნელი.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ (ᲢᲝᲛᲑᲐ)

ᲭᲐᲠᲐᲨ ᲮᲝᲜᲐᲠ ᲛᲘᲙᲔᲙᲣᲐᲜᲡ

ჭარაშ ხონარ მიკეკუანს,
"თაშ ბირგული მუშენ დიშქვი",
ვაბაღ ნო თეზმა ჭუა,
დიო ჭვემა, უკულ თიშქვი.

ცაშ კონკაშა მუშა იდი,
ჩქიმდა ვარე თეზმა შორი,
სერდაცალო დობწირიდი,
უჩა ღართი ქინმოფორი.

ხიოლ ვარე გურიშ გალე,
მიკირულე მუზმა შვანი,
ანგილოზ რექ უფსუალე,
ჩილამურით ქომიგამი.

ოლებერი თუთაშ მორთა
გასიმართენს გურიშ ყებურს,
ნახვილა დო ნაგორგოთა,
სადღემუშოთ დე ანებუ.

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐ,
ᲝᲤᲣᲢᲔ ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ

ქართველი ემიგრანტების ფერილი

2015 წლის 10 ივნისს სირიაში, დამასკოში ღამის 3-4 საათზე მასონური ამერიკის მიერ გაწრთვნილმა 20-მდე ტერორისტმა შეაღწია კონსპირაციულ ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ კონსპირაციულად მცხოვრები ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური. დაგეგმილი იყო მათი ლიკვიდაცია და სნაიპერის მართა სავანელის ცოცხლად აყვანა. დაიჭრა ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური, მართა სავანელი, ნაილი ხომერიკი, ლაშა გამსახურდია, ლევან ზაალიშვილი, დავით ჯანდიერი ძმები სანდრო და მიშა მარიამიძეები. ოცივე ტერორისტი ლიკვიდირებულ იქნა.

მეორე დღესვე, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებით ჩაფრინდა თვითმფრინავი დამასკოში ექიმებთან და მედპერსონალთან ერთად. ყველა დაჭრილი გადაყვანილ იქნა მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში. თითოეულ მათგანს ორი-სამი ოპერაცია გაუკეთდა. მართა სავანელს 8 ტყვია ამოუღეს, 12 დღე იყო კომაში.

5 სექტემბერს ყველა ქართველი მებრძოლი დაბრუნდა დამასკოში. საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3.035 მებრძოლნი დიდ მადლობას უხდიან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ყველა ექიმს, გაწეული შრომისათვის, თავდადებისათვის, გულისხმიერებისთვის.

სალომე მწითური
გიორგი ჩოლოყაშვილი
ავთანდილ გამყრელიძე
ლელა ჭინჭარაული
გიორგი ციხისთავი
სულ 3.035 მებრძოლის სახელით,
სირია, დამასკო, 7 ოქტომბერი.

ამანათი პანკისიდან სირიაში – 17 წლის გოგონას პანკისელ მებრძოლს საცოლედ უგზავნიან

ინციდენტი მოხდა პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში. 17 წლის გოგონას ნათესავები 21 წლის ვახა ტოხოსაშვილის ახლობლებს სახლში მიუვარდნენ. გოგონას ახლობლების განცხადებით, არასრულწლოვანი, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და პანკისში ბიძასთან სტუმრად იმყოფებოდა, მამაკაცებმა წაიყვანეს იმ მიზნით, რომ სირიაში საცოლედ გაუგზავნონ 21 წლის ვახა ტოხოსაშვილს, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ დაჯგუფებაში იბრძვის.

ინციდენტს კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტი შეესწრო. არასრულწლოვანი გოგონა აცხადებდა, რომ ის ვახა ტოხოსაშვილის მამიდაშვილს ომალოდან ჯოყოლოში ნებით გამოყვა და თანახმაა სირიაში წავიდეს.

გოგონას გათხოვების და სირიაში გაგზავნის წინააღმდეგები არიან მისი ნათესავები. გოგონას დეიდა ამბობს, რომ გუშინ გოგონას ბიძას სირიიდან დაუკავშირდნენ და თავის მოჭრით დაემუქრნენ იმ შემთხვევაში, თუ გოგონას სირიაში გაგზავნაზე უარს იტყოდა. ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს გოგონას ბიძამ დაუდასტურა. მისივე თქმით, ზეწოლა გოგონაზეც განხორციელდა.

პოლიცია დაპირისპირების ადგილზე დაახლოებით 20 წუთის შემდეგ გამოჩნდა. მათ გოგონა ტოხოსაშვილის ნათესავების სახლიდან გამოიყვანეს და დაკითხვაზე დუისის ქვეგანყოფილებაში გადაიყვანეს.

დღესვე პანკისის ხეობაში ჩეჩნეთიდან გოგონას დედაც ჩამოვიდა. მისი თქმით, ის შვილის გათხოვების კატეგორიული წინააღმდეგია, მით უფრო სირიაში. გოგონას დედა ითხოვს, სამართალდამცავებმა დააკავონ ყველა ის პირი, რომელიც პანკისიდან გოგონებს, მათ შორის არასრულწლოვნებს, სირიაში ქისტ მებრძოლებს საცოლედ უგზავნის.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ შს ახმეტის რაიონული სამმართველოს დუისის ქვეგანყოფილებაში დაიწყო წინასაგამოძიებო მოქმედებები შეტყობინების საფუძველზე. **„არასრულწლოვანი გოგონა დაიკითხა დედის თანდასწრებით. მან განაცხადა, რომ ნებით გაყვა შ. მუთოშვილს ოჯახში იმ მიზნით რომ მათ ნათესავ ვახა ტოხოსაშვილზე გათხოვდეს, რომელიც ამ დროისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება. ძალადობა არ გამოიკვეთა. მოქმედი კანონმდებლობით კი გოგონა მშობლის წერილობითი თანხმობის გარეშე საზღვარს ვერ გადაკვეთს. დედა კი წინააღმდეგია“**, – განაცხადეს შსს–ში.

გოგონა ოთხსაათიანი დაკითხვის შემდეგ პოლიციიდან დედასთან ერთად ნათესავის სახლში დააბრუნეს.

შეგახსენებთ, 2015 წლის აპრილის ბოლოს, პანკისის ხეობიდან სირიაში არასრულწლოვანი, 17 წლის გოგონა გაგზავნეს. გოგონა სოფელ ჯოყოლოს საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე იყო. დაზუსტებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი გოგონა პანკისელ ბექა ტოხოსაშვილზე გაათხოვეს, რომელიც სირიაში ე.წ. **„ისლამური სახელმწიფოს“** მხარეს იბრძვის. ბექა ტოხოსაშვილი პანკისიდან სირიაში ერთი წლის წინ წავიდა. გოგონამ საქართველოს საზღვარი მშობლების თანხმობით გადაკვეთა, თუმცა წინასწარ იყო ცნობილი, ის სირიაში რა მიზნითაც მიემგზავრებოდა.

პანკისის ხეობიდან სირიაში წასული ახალგაზრდებიდან საბრძოლო მოქმედებებში უკვე 12 პირი დაიღუპა.

2015 წლის 14 ივნისს, შსს კონტრტერორისტულმა ცენტრმა სპეცოპერაციის შედეგად პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოს ყოფილი იმამი, 36 წლის აიუფ ბორჩაშვილი და კიდევ სამი პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ აიუფ ბორჩაშვილი არის სირია-ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია **„ისლამური სახელმწიფოს“** წარმომადგენელი საქართველოში. იგი ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით მოქალაქეების გადაბირებას ახდენდა და შემდგომში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სირიაში მათ გამგზავრებას უზრუნველყოფდა. აიუფ ბორჩაშვილს ბრალი ედება სკოლის მოსწავლეების, 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილის და 18 წლის რამზან ბაღაკაშვილის გადაბირებასა და სირიაში გაგზავნაშიც.

ბორჩაშვილის გარდა დაკავებულები არიან თბილისში მაცხოვრებლები: კომპანია **„სილქნეტის“** ყოფილი თანამშრომელი 23 წლის გიორგი ხუტუნიშვილი, 21 წლის გიორგი კუპრავა და 18 წლის დავით ფირისებია. მათ წინააღმდეგ გამოძიება სსკ-ის 328-ე მუხლით მიმდინარეობს. პროკურატურის ინფორმაციით, ისინი აიუფ ბორჩაშვილმა გადაიბირა და **„ისლამურ სახელმწიფოში“** გაწევრიანებისთვის, თურქეთის გავლით სირიაში მიემგზავრებოდნენ. ორი მათგანი თბილისის აეროპორტში დააკავეს თურქეთში გამგზავრებამდე, ხოლო მესამე, თბილისში ცალკე აიყვანეს. არცერთი მათგანი წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში აიუფ ბორჩაშვილს ათიდან ჩვიდმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა იმუქრება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, აიუფ ბორჩაშვილის დაპატიმრების შემდეგ პანკისიდან სირიაში კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა გაგზავნეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევ გრძელდება მოქალაქეების გადაბირება და სირიაში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნა. ამ თემაზე ვრცელ მასალას უახლოეს დღეებში გამოვაქვეყნებთ.

კიდევ ერთხელ უფასო სასკოლო სახელმძღვანელოთა თაობაზე

გამოგცემლებო, არ დანებდეთ!

კოლაფსი გასესხებიდან მესამე წლისთავზე



განათლებისა და და მეცნიერების ყოფილი მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ბრძანებდა, რომ 2013-2014 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოები იქნებოდა უფასო, მშობლებს კი შესაძლებლობა მიეცემოდათ ამის შედეგად დაზოგილი თანხა (150-დან 200 ლარამდე) სხვა რამისთვის გამოეყენებინათ.

მალე გაირკვა, რომ სახელმძღვანელოები სრულებითაც არ ყოფილა უფასო: სასწავლო წლის დამთავრებისთანავე ისინი მოსწავლეებს ჩამოართვეს და ფაქტობრივად მივიღეთ სახელმძღვანელოების ცხრათვიანი უფასო განათხოვრება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ შეიძლება მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა სახის წიგნების განათხოვრება – სწავლას მოწყურებული, ბეჯითი, კარგი მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს არავისზე არ ანათხოვრებს, რადგან ის მუდამ სჭირდება, სკოლის დამთავრებამდე და მის შემდგომაც. ამიტომ უფრო მართებული იქნება, განათლების სამინისტროს ამ პროექტს ვუწოდოთ **„სახელმძღვანელოების უპროცენტოდ რამდენჯერმე გასესხება“**! გასესხებული სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის, ვარგისიანობისა და ამოღების პროცესი საბანკო წესებსა და პროცედურაზე უფრო გამკაცრებულია, რადგან მშობლები, დირექტორები და დამრიგებლები შიშით არიან შეპყრობილები. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, არდადეგებზე დამრიგებლები კარდაკარ დადიოდნენ მოსწავლეებზე **„გასესხებული“** სახელმძღვანელოების ამოსაღებად.

წელს მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: სახელმძღვანელოების გასესხება ერთი სკოლის კლასების მოსწავლეთა ნაცვლად სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის ხდება: სასწავლო პროცესის დამთავრებისთანავე დამრიგებლები სახელმძღვანელოებს აფასოებენ თავიანთი კლასების თითოეულ მოსწავლეზე. ზედმეტი სახელმძღვანელოები კი ცალკე გროვდება და, ვინ იცის, რომელ სკოლაში იგზავნება.

მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, დამრიგებლებმა **„ჯკუა ისწავლეს“** და მოსწავლეებს სახელმძღვანელოები სწავლის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე ჩამოართვეს. მასწავლებლის კითხვაზე, თუ რატომ არ იციან გაკვეთილი ან რატომ არა აქვთ დავალება, მოსწავლეებს პასუხი მზად აქვთ, – იმიტომ რომ სახელმძღვანელოები ჩააბარეს, და ამის გამო, თუ ადრე სწავლის ხანგრძლივობა დაახლოებით 9 თვე იყო, ამჯერად, ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, 8 თვე გახდა.

ზოგიერთი მოქალაქის მსგავსად, ხელისუფლების მიერ სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას თავის დროზე მეც **„პიარი“** ვუწოდე. ვაღიარებ, რომ შევცდი: პიარის შემთხვევაში ერთი მხარე მაინც რჩება მოგებული. ჩვენ შემთხვევაში ორივე მხარე წაგებულია.

განათლების სამინისტროს ამ, რბილად რომ ვთქვათ, დაუფიქრებელი, გაუაზრებელი გადაწყვეტილების შედეგად მივიღეთ:

1) შეწყვეტილი საქმიანი კავშირი პედაგოგებსა და სახელმძღვანელოების ავტორებს შორის;

2) ავტორების იძულებითი უმოქმედობა და მათ შორის შეწყვეტილი კონკურენცია;

3) არ გამოიცემა ახალი, გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები და გაუმჯობესებული მასწავლებელთა სარეკომენდაციო წიგნები;

4) ავტორების, სპეციალისტების ან სპეციალისტთა ჯგუფების მიერ, ყველა კლასში, ცალკეულ საგნებში, საგნის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემაზე ამ პირობებში საუბარი ზედმეტია (ეს მეთოდური სახელმძღვანელოები უნდა ჩანაცვლებოდა ძვირადღირებულ ტრენინგებს);

5) პედაგოგებისთვის იმ უფლების შეზღუდვა, რომ სწავლის პროცესში მათ შეეძლოთ ერთი ავტორის სახელმძღვანელო სხვა, მათთვის მისაღები ავტორის სახელმძღვანელოთი შეეცვალათ;

6) სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე დარჩენილი სკოლის ბიბლიოთეკები;

7) განათლების სამინისტროს დაავიწყდა მასწავლებლები, რომელთათვისაც არ დაურიგებია მასწავლებლის წიგნები, რომელსაც წინა წლებში გამომცემლობები საჩუქრად გადასცემდნენ მათ.

8) არათანაბარ პირობებში აღმოჩენილი ქართველი და ინგლისურენოვანი ავტორები და გამომცემლები.

9) სავალალო ვითარება არაქართულენოვან (აზერბაიჯანული, რუსული, სომხური სკოლების) მეშვიდე-მეთორმეტე კლასებში, რომლებიც არაგრიფირებული (?!) სახელმძღვანელოებით სწავლობენ.

10) დაიხურა ქართული სტამბების ნაწილი, წიგნების მაღაზიები, ქართველ გამომცემლებს ერთი მილიონი ნაშთი შეატოვეს და მივიღეთ გაკოტრებული გამომცემლები.

როგორც ცნობილია, შარშან სახელმძღვანელოების სრული რაოდენობის 40% დაიბეჭდა. მაშინ ვივარაუდე, რომ წელს 80% იქნებოდა დასაბეჭდი, თურმე აქაც შევცდი. წელს განათლების სამინისტრომ მხოლოდ 42 ათასი (ორმოცდაორი ათასი) სახელმძღვანელო დაბეჭდა.

ყოველივე ზემოთთქმული იმას ნიშნავს, რომ უხეშად ირღვევა ქართველ ავტორთა და გამომცემელთა საავტორო და საგამომცემლო უფლებები. გამომცემლობების გაჩერება კი ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას ნიშნავს. საფრთხე ექმნება ქვეყნის გადარჩენის გზას. ამიტომაც გამომცემლებს მინდა მივმართო: **„არ დანებდეთ! საფრთხე არ შეუქმნათ ქვეყნის გადარჩენის გზას. სულ ცოტაც მოითმინეთ და ხელისუფლების ბავშვური ქმედების გამო თქვენი სამწლიანი უთანასწორო ბრძოლა მალე დასრულდება. ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი ქვეყნის სასიკეთოდ იქნება“.**

P. S. ***ახლახან გავიგე, რომ არაპროფესიონალები და საქმიდან შორს მდგომი ადამიანები ცდილობდნენ ნახმარი სახელმძღვანელოებისთვის ყდები გამოეცვალათ (ცნობილი ანდაზისა არ იყოს, გარეთ ახალი, შიგნით ნახმარი). ბავშვების მოტყუება არ გამოუვათ. დრო მოვა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.***

დემურ კუხალეიშვილი,
ზუგდიდი

კვლავ კოლხური კულტურის შემოქმედი ეთნოსის ენის შესახებ

(რა ენაზე მეტყველებდნენ მეფე აიეტი და მედეა?)

აიეტის ქვეყნის შესაძლო ოფიციალური ენის თეორიული მოდელისა და არსებობის დროის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ტოპონიმიისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ცნობილმა არქეოლოგმა თ. მიქელაძემ გაიზიარა გ. დეეტერსის, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მოსაზრება საერთოქართველურიდან ჯერ სვანურის, შემდეგ კი ზანურის გამოყოფის შესახებ და დაასკვნა: **„ზანურენოვანი კოლხები რიონის ქვემო წელზე უკვე III ათასწლეულის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ“** (თ. მიქელაძე, 1974: 72-74).

დ. ლოსაბერიძე იზიარებს გლოტოქრონოლოგიური მეთოდით მიღებულ შედეგებს და სვანური და ქართულ-ზანური ენების არსებობას ძვ. წ. IV ათასწლეულიდან ვარაუდობს (დ. ლოსაბერიძე, 146, №2, 1992: 230-231).

აკად. ო. ლორთქიფანიძე, ემყარება რა ცნობილი ლინგვისტების – გ. კლიმოვისა და თ. გამყრელიძის მოსაზრებას, ფიქრობს: **„იქმნება მყარი საფუძველი მტკიცებისათვის, რომ არქეოლოგიურად დადასტურებული ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის ეთნოკულტურული სისტემა ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს წამყვან ეთნოსს, რომელსაც ბერძენი და რომაელი ავტორები მოიხსენიებენ სახელწოდებით: „კოლხები“, ხოლო მათ ქვეყანას – კოლხიდად. კოლხები კი აღიარებულნი არიან დასავლურქართულ ეთნოსად, რომელთა ენა – ზანური ანუ მეგრულ-ჭანური ენა წარმოიქმნა საერთოქართველური ფუძე ენის დიფერენციაციის შედეგად“** (ო. ლორთქიფანიძე, „ქუთაისური საუბრები“, VI, 1999: 113).

სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულ სხვა მოსაზრებებს არ განვიხილავთ. მხოლოდ შედარებით ვრცლად შევეხებით აკად. თ. გამყრელიძის მსჯელობას ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით.

სტატიაში – **„რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი – გრძნეული მედეა?“**, გამოჩენილი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მთელ დასავლურ სამყაროში ფრიად პოპულარული მითი-ლეგენდა **„არგონავტების“** შესახებ რეალური ვითარების ამსახველია, რაშიც დღეს მეცნიერებს ეჭვი არ ეპარებათ. XV-XIV სს. მიკენურ-ბერძნულ წარწერებში დასტურდება ისეთი საკუთარი სახელები, როგორიცაა ქვეყანა **„აია“, „კოლხეთი“, „იასონი“** და სხვ. ამავე წარწერებში დადასტურებული სიტყვა კოვო **„ტყავი“**, ჰომეროსთან კოვას ფორმით გვხვდება და **„ოქროს საწმისს“** აღნიშნავს. საკითხისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად დღემდე გაურკვეველი რჩება და საერთაშორისო მეცნიერებაშიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბერძენი **„არგონავტების“** დროინდელი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი შედგენილობის საკითხი, თუ რა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა დახვდათ ბერძენი გმირის – იასონის მეთაურობით, ხომალდ **„არგოთი“** ისტორიულ კოლხეთში ჩამოსულ ბერძნებს. კითხვაზე – რა ენაზე მეტყველებდნენ კოლხეთის, ანუ აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი, გრძნეული მედეა? – პასუხის გასაცემად თ. გამყრელიძე მსჯელობას შემდეგი სახით წარმართავს: თვით ბერძნულ მითსა და მის შედარებით გვიანდელ ბერძნულ გადმოცემებში არ არის დასახელებული კოლხეთის მოსახლეობის ენობრივი ვინაობის მიმანიშნებელი არც ერთი ადგილობრივი სიტყვა. ამასთანავე, რადგანაც ბერძნულ გადმოცემებში მოცემულ ადგილობრივ მკვიდრთა სახელებს არ ეძებნებათ რამდენადმე დამაჯერებელი ეტიმოლოგიები, შესაბამისად ამ ანთროპონიმების რომელიმე ენისადმი ეჭვმიუტანლად მიკუთვნება ჭირს. მაგრამ ოქროს საწმისის და საერთოდ, **„ცხვრის ტყავის“** აღსანიშნავად არგონავტების მითის ბერძნულ ტექსტში დადასტურებული ერთი სიტყვით შესაძლებელია ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის ენობრივი კუთვნილების საკითხი. თ. გამყრელიძის აზრით, ესაა ტექსტსა და, საზოგადოდ, ბერძნულში ხმარებული კოას, რაც მომდინარეობს არქაული კოვას ფორმიდან. ეს სიტყვა კოვო **„ტყავის“** მნიშვნელობით დასტურდება ძვ. წ. XV-XIII სს. მიკენურ ბერძნულში. ამ უძველესი ბერძნული სიტყვის ფუძეს მკვლევარი **„ტყავის“, „ცხვრის ტყავის“** და **„(ოქროს) საწმისის“** მნიშვნელობით ადადგენს კოვ- ფორმის სახით. რამდენადაც კოვ- სიტყვას ბერძნულში ინდოევროპული შესატყვისები არ ეძებნება, თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ იგი ბერძნულისათვის უცხო ენობრივი სამყაროდან არის შეთვისებული. ასეთად კი სწორედ დასავლურქართული ენობრივი სამყარო უნდა ჩაითვალოს, რომელთანაც ბერძნებს უძველესი დროიდან ჰქონდათ კონტაქტები და სადაც **„ცხვრის ტყავს“** განსაკუთრებული საკულტო-რიტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ყოველივე ზემოთქმული იმის საფუძველს იძლევა, რომ **“ცხვრის ტყავის“** აღმნიშვნელი კოვ- სიტყვა **„ტყავის“** მნიშვნელობით განხილულ იქნას ქართულ-ქართველურ ტყავ-/ტყოვ-/ტკოვ- სიტყვასთან მიმართებაში.

ქართული ტყავ-ი სიტყვის თანამედროვე მეგრული შესატყვისია ტყებ-ი, ხოლო ლაზური – ტკებ-ი, მაგრამ ძველად მისი დასავლურქართველური, მეგრულ-ლაზური ვარიანტი ტყოვ-/ტკოვ- ფორმა უნდა ყოფილიყო, რაც **„ტყავის“,** ცხვრის ტყავის მნიშვნელობით გამოუყენებიათ კოლხეთში მოსულ ბერძნებს. ამ ფაქტმა კი ასახვა ჰპოვა ბერძნულ მითში არგონავტების ოქროს საწმისის ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ. იმ ფაქტს, რომ დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ლაზური ტყოვ-/ტკოვ- სიტყვა (ცხვრის) ტყავის მნიშვნელობით ბერძნებმა სწორედ კოვ- ფორმით გადაიღეს, აკად. თ. გამყრელიძე შემდეგი გარემოებით ხსნის: ბერძნულისათვის არაბუნებრივი ტყ-/ტკ- თანხმოვანთჯგუფი ბერძნებს კ- თანხმოვნად გაუმარტივებიათ, ისევე, როგორც მდინარე მტკვრის სახელწოდების აღმნიშვნელი დასავლურ-ქართული (მ)ტკუარ//(მ)ტკურ- სახელი გამარტივების შედეგად კურ- ფორმით გადაიღეს (შდრ. ბერძნულ ვარიანტზე დამყარებული მდინარის რუსული სახელწოდება kura).

მაშასადამე, სავარაუდოა, რომ ბერძნები საკუთრივ ბერძნული **„დერმა“** სიტყვის (შდრ. თანამედროვე ტერმინი **„დერმატოლოგია“**) პარალელურად **„ოქროს საწმისის“** და საერთოდ, **„ტყავის“** აღსანიშნავად იყენებდნენ არქაულ ეპოქაში კოლხური სამყაროდან შეთვისებულ-ნასესხებ კოვ- სიტყვას. გამოდის, რომ ისტორიულ კოლხეთში ბერძნების მოსვლის დროს აქ გავრცელებული იყო დასავლურქართველური, მათ შორის მეგრულ-ლაზურის წინაპარი დიალექტი, რომელზედაც **„ტყავი“** სიტყვა აღინიშნებოდა ტყოვ-ი/ტკოვ-ი ფორმით. მკვლევარი დაასკვნის, რომ აია-ქვეყნის მეფე აიეტი, მისი ქალიშვილი მედეა, აგრეთვე საბერძნეთიდან შავი ზღვით მოსულ არგონავტებთან ურთიერთობის მქონე კოლხეთის მოსახლეობის ნაწილი, მეტყველებდნენ დასავლურ-ქართველურ დიალექტზე, რომლის ღღევანდელ გაგრძელებასაც წარმოადგენს მეგრულ-ლაზური (თ. გამყრელიძე, **„რიწა“,** №1-2, 2004: 93-94).

საერთოინდოევროპულიდან საერთოქართველურში ნასესხები ფუძეების დაშვებისა და *ტყავ- ფუძის შესატყვისად ზანური ტყოვ- ვარიანტის აღდგენის საფუძველზე თ. გამყრელიძის მიერ შემოთავაზებულ კორექტირებას საკამათოდ მიიჩნევს ტარიელ ფუტკარაძე: **„უძველეს ბერძნულში – მიკენურში – ეს სიტყვა ტყავის მნიშვნელობით II ათასწლეულის დასაწყისიდან დასტურდება... საერთოქართველურიდან ბერძნულში სიტყვების სესხება გამორიცხული არ არის, ბუნებრივია, მოსალოდნელია კიდეც, მაგრამ ტყავ- ფუძის *კოვ-თან დაკავშირებას საეჭვოს ხდის ზანურში *ტყოვ- ფუძის რეალურად არსებობის საკითხი“** (ტ. ფუტკარაძე, 2005: 284).

ზანურში ა – ო პროცესის გათვალისწინებით ტ. ფუტკარაძე ფიქრობს, რომ ლაზურსა და მეგრულში დღეს არსებული ტყებ- **„ტყავი“** ფუძე საერთოქართველურიდან მომდინარე, თავდაპირველ ზანურ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს. ბერძნული კოას კავშირს ტყავ- ფორმასთან და ლეგენდარულ ოქროს საწმისთან ტ. ფუტკარაძეს საეჭვოდ ეჩვენება და შენიშნავს, რომ ბერძნული კოას ისტორია კვლავ საკვლევია (იქვე: 285).

კოლხური კულტურის შემოქმედი ეთნოსის შესახებ ი. დიაკონოვის, თ. მიქელაძის, დ. ლოსაბერიძის, თ. გამყრელიძის, ვ. ივანოვის, ო. ლორთქიფანიძის, მ. ქურდიანის, დ. მუსხელიშვილის და სხვათა მიერ გაანალიზებული ლექსიკური პარალელების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ტ. ფუტკარაძე შეეცადა განსხვავებულად შეეხედა ზოგიერთი საკითხისათვის. ზემოთ დამოწმებულ მკვლევართა დასკვნები საერთოქართველური ენის ძვ. წ. V-IV ათასწლეულში არსებობის შესახებ, ტ. ფუტკარაძის აზრით, დამაჯერებელი არ არის, რადგან, ამგვარი საკამათო მასალის მიხედვით საერთოქართველური თუ საკუთრივ ქართული ენების არსებობის დროის დადგენა შეუძლებელია. **„თუკი შუმერების დროს ზანურის, სვანურის თუ ქართულის არსებობას დავუშვებთ, გამოდის, რომ მსოფლიოში არსებულ ენათაგან 5000 წლის მანძილზე მხოლოდ ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური „ენები“ ინარჩუნებენ თავისთავადობას, რაც არალოგიკურია:**

მსოფლიოში არ არსებობს დიდი სამწერლობო ტრადიციის მქონე ენაც კი, რომელსაც 50 საუკუნის განმავლობაში შეენარჩუნებინოს თავისი ძირითადი სახე; მით უმეტეს, ასეთი ვერ იქნება უმწერლობო ტომობრივი ენა თუ კილო. 1000 წლის მანძილზეც კი მხოლოდ დიდ სამწერლობო ტრადიციას შეუძლია, შეანელოს ენის მნიშვნელოვანი ცვლილების პროცესი; 4000-5000 წლიან თვისობრივ უცვლელობაზე კი, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია“ (იქვე: 296).

ენობრივ ერთეულთა შესახებ წარმოდგენილი ანალიზითა და მსჯელობით ტ. ფუტკარაძე ვარაუდობს საერთოქართველურის დაშვებას უფრო ძვ. წ. I ათასწლეულში (იქვე: 296).

დაეუბრუნდეთ კვლავ ქართული **„ტყავ“** ფუძის უწინდელი ზანური ვარიანტის შესახებ თ. გამყრელიძისა და მის საპირისპიროდ ტ. ფუტკარაძის მსჯელობას:

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ ქართული ტყავ- ფუძის ზანურ ვარიანტად, როგორც აღვნიშნეთ, აღდგენილია *ტყოვ- ვარიანტი (T. Гамкрелидзе, В. Иванов, 1984: 908-909), ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ნავარაუდევია მიკენური კო-ვო სიტყვის ამოსავლად. ტ. ფუტკარაძე კი თვლის, რომ ზანურში *ტყოვ- ფუძის რეალურად არსებობის საკითხი საეჭვოს ხდის ტყავ- ფუძის *კოვ-თან დაკავშირების შესაძლებლობას (იქვე: 284). მისი აზრით ტყებ- **„ტყავი“** ფუძე არის საერთოქართველურიდან მომდინარე თავდაპირველი ზანური ვარიანტი (იქვე: 285). თავისი მოსაზრების მართებულების დასტურად ტ. ფუტკარაძეს ზანურში საერთოქართველური ა-ს რამდენიმე კანონზომიერი რეფლექსის არსებობა ესახება. კერძოდ, საერთოქართველური ა- ზანური ო: კაცი – კოჩი, და – დო, ცხრა (*ცხარა) – ჩხორო... მკვლევარი ვარაუდობს, რომ **„თუ ძირეული ა-ს მომდევნოდ ბაგისმიერი სპირანტი დასტურდება, ა-ს ლაბიალიზაცია ფერხდება და ა – ე: ძარღვი – ჯერღვი, არჩვი – ერცქემი, ტყავი – ტყები, შაშვი – ზესქვი...“** (იქვე: 284).

ჩვენი ყურადღება სწორედ ამ პრობლემურმა საკითხმა, კერძოდ, ტყავ- ფუძის ზანური ვარიანტის აღდგენამ მიიპყრო.

საქმე ისაა, რომ აკად. თ. გამყრელიძის თვალსაზრისის გასამყარებლად შესაძლებელია მეგრულის ენობრივი მონაცემების შუქზე დამატებითი არგუმენტის მოძიებამოხმობა. კონკრეტულად, ვგულისხმობთ მცენარე ყოჩივარდას მეგრულ შესატყვისს – ტყვარჩელიას//ტკვარჩელიას, რაც საეჭვოს ხდის ტარიელ ფუტკარაძის ლინგვისტური მსჯელობის მართებულობას ჩვენ მიერ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ყოჩივარდასა და მისი მეგრული შესატყვისის შესახებ ა. მაყაშვილის **„ბოტანიკურ ლექსიკონში“** ვკითხულობთ: **„ტკვარჩელია – ნ. ქართული ყოჩივარდა“** (მაყაშვილი, 1991: 150). ამ უკანასკნელის განმარტებისას წერს: **„ქართული ყოჩივარდა... მგრ. კარაკუნჩხა, ტყვარჩელია, ტკვარჩელია“** (იქვე: 72). ო. ქაჯაიაც ალ. მაყაშვილის ლექსიკონს ეყრდნობა და წერს; **„ტკვარჩელია (ტკვარჩელიას) ბოტან. ქართული ყოჩივარდა. იხ. კარაკუნჩხა, ტყვარჩელია (ა. მაყ.)“ (ო. ქაჯაია, III, 2002: 32). ასევე ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ აღნიშნულია: „ტკვარჩელია ყოჩივარდა“** (ა. ქობალია, 2010: 603).

მცენარის სახელწოდება ტყვარჩელია/ტკვარჩელია რთული აგებულებისაა. იგი ორი ფუძის შეერთებითაა მიღებული. პირველი კომპონენტად უნდა ჩაითვალოს თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ აღდგენილი ტყავ- ფუძის პრაფორმა *ტკოვ (გამყრელიძე, ივანოვი, 1984: 908-909). მეორე კომპონენტი რჩელი წარმოადგენს მიმდეობურ შესატყვისს ძველქართული დარეცა (**„გაშალა, გააფინა, დააგო“**) ზმნის რეც ძირისა, ხოლო -ია მცენარეთა მეგრული სახელების მაწარმოებელი სუფიქსია (შდრ. კოპეშ-ია, კალ-ია, ხვიხვინ-ია, კვადაცი//კუადაც-ია, გახოკ-ია, ჯამფეზ-ია და ა. შ.).

თ. გვანცელაძე ტოპონიმ **„ტყვარჩელისა“** და ყოჩივარდას მეგრული სახელწოდებების წარმომავლობაზე მსჯელობისას აღნიშნავს: **„მთლიანად მცენარის სახელი ტყვარჩელია ნიშნავს „ტყავგადაშლილს, ტყავდაფენილს, ტყავდაგებულს“ და მომდინარეობს *ტყოვრჩელ-ია პრაფორმისაგან, ადვილად ასახსნელი ფონეტიკური პროცესის შედეგად (ბგერათკომპლექსი ტყოვ – ტყვა). ამ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს მცენარის ბოტანიკურ-მორფოლოგიური თავისებურებაც: ყოჩივარდას აქვს ტყავივით სქელი და უხეში ფოთლები, რომლებიც როზეტივით არის დაფენილი მიწაზე მცენარის ღეროს ირგვლივ. ვვარაუდობთ, რომ *ტყოვრჩელია სახელს თავდაპირველად -ია სუფიქსიც არ ჰქონდა (შდრ. კვადაც-ი//კუადაც-ია) და სწორედ ეს უსუფიქსო ფორმა იქცა ტოპონიმად“** (თ. გვანცელაძე, **„არტანუჯი“,** 10, 2000: 92).

უფრო ადრე გამოცემულ ნაშრომში თ. გვანცელაძე ვარაუდობს, რომ მეგრული ტყვარჩელია და ტკვარჩელია ფორმებიდან, კოლხურში ყ თანხმოვნის პოზიციათა სისუსტისა და ამ ბგერის სხვებით ცვლის შემთხვევების გათვალისწინებით, მეორე ფორმა უფრო ახალი უნდა იყოს. მცენარის ბოტანიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებაზე მსჯელობისას მკვლევარი ეყრდნობა ალ. ასიეშვილის მიერ მოცემულ შემდეგ აღწერილობას: **„ყოჩივარდა... მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ფურისულასებრთა ოჯახისა. აქვს ტყავისფერი მომწვანო-ჭრელი, მომრგვალო-გულისებრი ან თირკმლისებრი ფოთლები, რომლებიც ნიადაგის ზედაპირზე ქმნიან როზეტს...“** (ალ. ასიეშვილი, ქსე, X, 1986: 660). **„მცენარის ღეროს ირგვლივ უშუალოდ მიწაზე დაფენილი საკმაოდ უხეში, ტყავისებრი ფოთლების გამო,** – წერს თ. გვანცელაძე, – **სავსებით შესაძლებელია ამ მცენარისათვის *ტყოვრჩელი – ტყვარჩელი, ე. ი. „ტყავდაფენილი“ ეწოდებინათ. დროთა განმავლობაში კი ტყვარჩელი ფორმისაგან შეიძლებოდა მიგვეღო როგორც ტყვარჩელია, ისე ტკვარჩელია ვარიანტებიც“** (გვანცელაძე, **„ქართველური ონომასტიკა“,** I, 1998: 107).

როგორც აღვნიშნეთ, ტყებ- **„ტყავი“** ფუძე, ტ. ფუტკარაძის აზრით, საერთოქართველურიდან მომდინარე თავდაპირველი ზანური ვარიანტი უნდა იყოს (იქვე: 285), მაგრამ ჩვენ მიერ წინამდებარე გამოკვლევაში მოხმობილი ყოჩივარდას მეგრული სახელწოდების – ტყვარჩელიას/ტკვარჩელიას ლინგვისტური ანალიზით ცხადი ხდება ზანურში სწორედ *ტყოვ- ფუძის რეალურად არსებობის ფაქტი, რაც შესაძლებელს ხდის ქართული ტყავ- ფუძის შესატყვისის, უწინდელი *ტყოვ- ვარიანტის ბერძნულ *კოვ-თან დაკავშირების შესაძლებლობას. მაშასადამე, მისაღებია აკად. თ. გამყრელიძის მოსაზრება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში მეგრულ-ლაზურის წინაპარი ზანური ენის არსებობის შესახებ; რომ ამ ენაზე ტყავის შესატყვისი ყოფილა ტყოვი/ტკოვი სიტყვები და რომ აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი, გრძნეული მედეა მეტყველებდნენ თანამედროვე მეგრულისა და ლაზურის წინაპარ დასავლურ-ქართულ დიალექტზე. შესაბამისად, ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის ისტორიული კოლხიდის ტერიტორიაზე უცხოვრია ზანურ, ანუ მეგრულ-ჭანურ ენაზე მოლაპარაკე და კოლხური კულტურის შემქმნელ დასავლურქართულ ეთნოსს.

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

გაზეთი “ᲘᲚᲝᲠᲘ” თანაუგრძნობს ბატონ ვალერი გაბელიას ძმის

ვახტანგ გაბელიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

უფალმა გაანათლოს ვახტანგ გაბელიას სული... სამწუხაროდ ამ საწუთროს ნელნელა ტოვებენ ის ადამიანები, რომლებსაც მართლაც უშურველად, ყოველგვარი ქვენა მიზნების გარეშე უღვაწიათ, უბრძოლიათ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისთვის... და აი, ამათ შორის ერთ-ერთი უდაოდ გახლავთ ბატონი ვახტანგ გაბელია... ამ შესანიშნავ კაცს და პატრიოტ პიროვნებას მე ვიცნობდი ჯერ კიდევ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან... მახსოვს თუ როგორი შემართებით იცავდა ის სამართლიანობას, კანონიერებას და საერთოდ, ეროვნულ-პატრიოტულ ფასეულობებს! მახსოვს მისი ერთგულება კანონიერი ხელისუფლებისა და პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართ... ის ნამდვილად იყო ბატონი ზვიადის და რაც მთავარია სამშობლოს უდალატო ჯარისკაცი! ის უდაოდ იყო თავისი უფროსი ძმის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, ბატონ ვალერი გაბელიას ღირსეული ძმა! და აი, ეს დიდებული ადამიანი საწუთროს მუხთლობის გამოისობით უკვე აღარ არის ამ ქვეყნად! მან დატოვა ამქვეყნიური ყოფა და ჩვენ ვიქონიოთ იმედი, რომ სასუფეველში დაემკვიდრა! გაანათლოს უფალმა ვახტანგ გაბელიას სული!

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
სახალხო მოძრაობა “ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ” ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი

დედა-ეკლესიას მოწყვეტილი წმინდა სალოცავები

სატანის ხელში აღმოჩენილი იერუსალიმის ქართული ნაწილი

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ მყარად მოიკიდა ფეხი მაშინდელი სამყაროს მეტწილ ქვეყნებში, ლამის არ დარჩენილა ქვეყანა, სადაც მღვდელმსახურება არ მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. ქართველები აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს ბიზანტიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, საბერძნეთში, იერუსალიმში... მსოფლიო რელიგიის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართველი მღვდელმსახურების ნიკიფორე ირუბაქიძის (ირბახის), ანთიმოზ ივერიელის, მურვანოსის და სხვათა სახელები! ისინი ქრისტიანობას ასწავლიან ევროპელებს, აზიელებს, ეგვიპტელებს...

ამ საშურ საქმეს სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ თურქები, სპარსელები, მაჰმადიანი არაბები და... სომხები! დიახ. ის სომხები, რომლებიც საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ თავიანთ მონოფიზიტობას და ყოველნაირ სიბინძურეს კადრულობდნენ ქართული მართლმადიდებლური რელიგიური სულისკვეთების დასაკნინებლად.

ახლა კი რამდენიმე სიტყვით მოგითხრობთ იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე და ადრეული საუკუნეებიდან დღემდე მის მიერ განვლილ ხიფათიან გზაზე.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გახლავთ შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ, პალესტინაში (ახლანდელი ისრაელი). დღესდღეობით ჯვრის მონასტერი მაღალი ზღუდით შემოვლებული ხუროთმოძღვრული კომპლექსია. ზღუდის შიგნით სამ და ოთხსართულიანი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია. მთავარი ტაძრის გუმბათი ეყრდნობა ოთხ სვეტზე ამოყვანილ თაღებს.

ჯვრის მონასტერი დააარსა ქართველმა მოღვაწემ გიორგი-პროხორე შავთელმა საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით XI საუკუნის 30-50-იან წლებში. იგი მდებარეობდა იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით (ახლა ქალაქის გაზრდის გამო მის ფარგლებში მოექცა).

გადმოცემით მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც თითქოს ქრისტე აცვეს. ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართულ სავანეთა აღიარებული ცენტრი გახდა. 1071 წელს იერუსალიმის აღებისას, მონასტერი დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს თურქსელჩუკებმა. XII საუკუნის დამდეგს მეფე დავით IV აღმაშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს, განაახლეს და მოხატეს. ეგვიპტის სულთნის სალადინის (სალაჰ ალ-დინი) მიერ იერუსალიმის დაპყრობის (1187) შემდეგ მონასტერი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თამარის მეფობის ხანაში (1184-1213) არაერთხელ გაუწიეს დახმარება, ხოლო 1192 წელს საგანგებო ელჩობა მიავლინეს მისი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენცია მნიშვნელოვნად განაპირობებდა ჯვრის მონასტრის პრივილეგიების შენარჩუნებასა და მის შემდგომ დაწინაურებას.

იერუსალიმის ქართულ ფესვებზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკვდავი "ვეფხისტყაოსნის" შექმნის შემდეგ გენიალურმა შოთა რუსთაველმა მიწიერი სიცოცხლის დასრულების ადგილად სწორედაც რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი აირჩია, რასაც მოწმობს მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე შემორჩებილი მისი ფრესკა, რომელიც გულბოროტმა ბერძენმა ეკლესიის მსახურებმა ბნელი ძალების შეკვეთით გადადღაბნეს, რათა ქართული კვალი წაეშალათ იერუსალიმის სინამდვილიდან!

მეტი მკრეხელობა მართლაც წარმოუდგენელია!

1272 წელს მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს და მეჩეთად გადაკეთდა. 1305 მეფე დავით VIII-ის მცდელობით იგი ქართველებს დაუბრუნდა. მონასტერი აღადგინეს და განაახლეს. 1400 წელს ჯვრის მონასტერი კვლავ დაარბიეს. XV საუკუნეში მონასტერს მატერიალური დახმარება გაუწიეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა და მზეჭაბუკ ათაბაგმა. მონასტერში აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა სერაპიონ კუმურდოელმა, 1516-იდან, მას შემდეგ, რაც პალესტინა ოსმალებმა დაიკავეს, მონასტერს ნაწილობრივ შეეკვეცა უფლებები.

XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება ჯვრის მონასტრისადმი გაიზარდა. 40-იან წლებში აქ დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი). სამეგრელოს მთავარის ლევან II დადიანის მატერიალური დახმარებით მან შეაკეთა მთავარი ტაძარი, მოახატვინა კედლები, გუმბათი და სხვა. 1684 წელს დავალიანებული მონასტერი დაიხსნა ქართლის მეფე გიორგი XI-მ. ქართველთა გავლენა თანდათან შესუსტდა და ბოლოს, XVII საუკუნის დასასრულს ჯვრის მონასტერი სხვა ქართულ სავანეებთან ერთად ბერძენთა ხელში გადავიდა და იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა. 1855 აქ ბერძნული სასულიერო სემინარია გაიხსნა (მოქმედებდა 1908 წლამდე). ბერძნული სამღვდელოება ჩქმალავდა ჯვრის მონასტრის ქართულ კულტურასთან კავშირსა და ქართველთა მოღვაწეობის ფაქტებს, ფრესკები საგანგებოდ შეათეთრეს. 1948-1958 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარის ნაწილი იდგა. 1960 წელს ჯვრის მონასტერში იმყოფებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

ჯვრის მონასტერში დაარსებისთანავე გაიშალა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი-პროხორემ წამოიწყო. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: მიქაელ დვალი, იოანე დვალი, შავი იოანე, გაბრიელ საყვარელი (XI ს.), მიქაელ გვირგვინის ძე (XII ს.). ტრადიციის გადმოცემით, აქ ყოფილა არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ I გულაბერისძე, ერთხანს თითქოს აქ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველიც (2006 წლამდე მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახული იყო მისი ფრესკული პორტრეტი, XII-XIII საუკუნეების მიჯნა). ჯვრის მონასტერში შეიქმნა უცნობ ავტორთა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი **"პროხორეს ცხოვრება", "ლუკას წამება"** (XIV ს.), **"ნიკოლოზ დვალის მარტვილობა"** და სხვა. შედგა კრებულები, გამრავლდა ხელნაწერები. ჯვრის მონასტერი ფართოდ არის აღწერილი და შესწავლილი (ტ. გაბაშვილი, გ. ავალიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, პ. უსპენსკი, რ. ჟანენი, კ. კეკელიძე, გ. ფერაძე, ბ. თარხნიშვილი, კ. სალია, ე. მეტრეველი და სხვა). აქაურ ქართულ ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექციის ნაწილი 1888 აღწერა ა. ცაგარელმა, 1902 წელს ნ. მარმა, 1924-1926 წლებში რ. ბლეიკმა. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების ძირითადი ნაწილი ახლა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაშია დაცული, ხოლო ზოგიერთი სინის მთაზე, თბილისში, ქუთაისში, სანქტპეტერბურგში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონში და სხვაგან.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაწერეს პალესტინის მამათა ცხოვრებანი, რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული (Add – 11281, XI ს.), ჰიმნოგრაფიული კრებულები, სვინაქსარები, ჟამნი და სხვ. აქ არის დაცული მრავალი თხზულება, რომლებიც თარგმნილია ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირისა და სხვათა მიერ. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არის შემორჩენილი **"გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების"** ერთადერთი ნუსხა.

XI საუკუნის შუა წლებში პალესტინაში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, შეიქმნა ერთგვარი პირობები სამონასტრო ცხოვრებისათვის. იმ დროისათვის ქართველი მოღვაწეები მრავლად იყვნენ იერუსალიმისა თუ მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას. სათავეში ჩაუდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასეთი ცენტრის არ არსებობა მწვავედ იგრძნობოდა, მით უფრო, რომ საჭირო იყო წინაპრების ღვაწლის წარმოჩენა და ქართველთა უფლებების დაცვა ე.წ. წმიდა ადგილებზე. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ქართველ მეფე-დიდებულთა მეტი ყურადღება პალესტინისა და იქ მოღვაწე ქართველთა ბედისადმი. ყოველივე ამან მოამწიფა საკითხი ახალი სავანის დაარსებისა და, მართლაც, იერუსალიმის ახლოს აშენდა ჯვრის მონასტერი, სადაც თავი მოიყარა ქართველთა დიდმა ჯგუფმა. იგი იქცა პალესტინელი ქართველების მთავარ შესაკრებ პუნქტად და პილიგრიმთა საიმედო თავშესაფრად, იერუსალიმისა და მისი სანახების სავანეებში მოსახლე ქართველთა რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვან კერად.

ჯვრის მონასტერი ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით იდგა, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ახლა კი ქალაქის გაზრდის შედეგად მის ტერიტორიაზეა, ახალ კვარტალთა შუაგულში, ზეთისხილის ბაღნარში.

"ჯვრის მონასტერი არის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი პალესტინაში. იგი არსებითად მთელი ციხე-ქალაქია, რომელიც მაღალი ზღუდით არის შემოზღუდული. ზღუდის შიგნით მოთავსებულია მეტად რთულ ნაგებობათა კომპლექსი სამ და ოთხ სართულად, მრავალრიცხოვანი სათავსებით, რომელთა რაოდენობა დღესაც ორას სამოცდაათს აღწევს. მონასტრის ძირითად ტაძარს უჭირავს ფართობი 27,5მ×15,2მ ზომისა (418 კვ. მეტრი). იგი წარმოადგენს ოთხ სვეტზე დაყრდნობილ თაღებს და ბოლოვდება გუმბათით. სვეტების განია დაახლოებით 1,42მ×1,43მ. მონასტერი ერთ დროს მთლიანად დაფარული ყოფილა ფრესკებით."

ადგილი, სადაც ჯვრის მონასტერი აშენდა, მიჩნეული იყო წმიდა ადგილად, რადგან ცნობილი გადმოცემით, რომელიც სხვადასხვა ვარიანტითაა გავრცელებული ქრისტიანულ სამყაროში, იქაური ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც აცვეს ქრისტე. ეს გადმოცემა იერუსალიმელ ქართველთა წრეში ადრევე გავრცელდა. ამას მოწმობს ჯვრის მონასტრის დამაარსებლის მინაწერი (1038 წ.) ერთ ხელნაწერზე: **"ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა შემითა აღშენებად წმიდისა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილისა".** ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ესაა უძველესი წერილობითი ცნობა ქართულ წყაროებში. შემდეგ ხანაში გადმოცემა ჯვრის მონასტრის ადგილზე (სხვადასხვა ვარიანტით) არაერთი ქართველის ჩანაწერებში გვხვდება. დასავლურ წყაროებში იგი ცნობილია XII საუკუნიდან. კარგად იცნობენ მას სლავი მოღვაწენიც. საგულისხმოა, რომ ამ გადმოცემამ ჩვენს დრომდეც მოაღწია. უცილობელია, ამ გადმოცემამ შეუწყო ხელი ჯვრის მონასტრის პოპულარობას; იგი პალესტინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიწმიდედ ითვლებოდა და მრავლად იზიდავდა პილიგრიმებს, რომელთა ჩანაწერებში უხვად ვხვდებით ცნობებს პალესტინელ ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

ჯვრის მონასტრის ადგილის შესახებ გავრცელებული გადმოცემა და ცნობები ახალი ქართული სავანის დაარსების ისტორიაზე შედარებით სრული სახით შემოგვინახა ტ. გაბაშვილმა. მის **„მიმოსვლაში"** ვკითხულობთ: **„უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენით მუნ წერილთა შინა. რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უშოვნია. რამეთუ ესე არს ადგილი იგი, რამეთუ ლოთ სამი ხე – სარო, ფიჭვი და ნაძვი – დანერგვა სასწაულად, უკეთუ მიეტეოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ ხე დიდ აღმოხდა. ამისა შემდგომად მოსჭრა იგი სოლომონ შენებასა ტაძრისასა, არამედ უქმად გამოჩნდა სახმარება მისი მუნ, და მდებარე იყო საჯდომად კაცთა გარე. ხოლო ჯვარცმასა უფლისასა, განგებითა ზენათათა მას ზედა აცვეს უფალი. რამეთუ მონაკვეთი ხისა მის ძირი ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამომდე ჩანს. ხოლო ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვარის მონასტერი შესაკრებად ქართველთათვის".**

თავის დროზე ამ წმიდა ადგილის ქართველთათვის დასამტკიცებლად ფრიად უღვაწია დიდ ქართველ ხელმწიფეს ვახტნაგ გორგასალს.

როგორც **„წმიდა პროხორეს ცხოვრება"** მოგვითხრობს, პროხორე იყო **„ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით"**. ადრევე წავიდა კლარჯეთს და წყაროსთავის მონასტერში დამკვიდრდა, თავის ძმასთან. როდესაც აკურთხეს, შემდეგ **„შეიმოსა სახე მონაზონებისაი"** და **„აკურთხეს ხუცად"**. მომდევნო ხანაში მას პალესტინაში ვხედავთ, საბას ლავრაში, სადაც გაატარა **„წელნი მრავალნი"** შემდგომ **„მახლობელად იერუსალემს, დასავლით კერძო... აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაი ყოვლითა სამკაულითა"**, შემოიკრიბა მოღვაწენი, რომელთაც განუჩინა წესი და კანონი **„მსგავსადვე წმიდისა საბაის ლავრისა"**. მანვე იერუსალიმში ააშენა ქსენადუქი (სასტუმრო). როდესაც **„სრულყო ესე ყოველი"**, დაუძლურდა, სიბერე ეწია. დატოვა **„ჯუარისა მონასტერი"** – ერთ-ერთი მოწაფე (გიორგი) დაადგინა მამასახლისად, ხოლო თვით ორი მოწაფითურთ წავიდა **„უდაბნოსა არნონს"**, სადაც **„შედგომად მცირედისა ჟამისა"**, 1066 წელს, გარდაიცვალა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წმიდა პროხორე მონასტრის დაარსებისთანავე ზრუნავდა არა მხოლოდ ცალკეულ თხზულებათა გადაწერაზე, ახალი ხელნაწერების დამზადებაზე, არამედ პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა **„ცხოვრებათა"** კრებულის შედგენაზე. სწორედ მისი თაოსნობით გაჩნდა **„პალესტინის პატერიკის"** ქართული ნუსხა, რომელიც ლონდონშია დაცული.

მასალებს თავი მოუყარა და
კომენტარები დაურთო
როლანდ ჯალაღანიამ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პირველი ქართველი მილიონერი – ამერიკის ქიმიური მრეწველობის მეფე

(საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი)

ამერიკა რომ ცათამბჯენების ქვეყანაა, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ცათამბჯენების ასაშენებლად საჭირო უმთავრესი მასალის – ე.წ. ზემდგრადი მინა-ბლოკისა და წყალგამძლე ცემენტის გამომგონებელი ქართველი იყო, რომელსაც ოკეანის გაღმა ჯორჯ კობის სახელით იცნობდნენ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ჯორჯ კობი, იგივე გრიგოლ (გიგა) კობახიძე ამერიკის უმდიდრეს ადამიანთა ათეულში ზედიზედ რამდენჯერმეც კი მოხვდა, რაც იმხანად დიდი სენსაცია იყო. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა გამოგონებებისა, გრიგოლ კობახიძეს სხვა რამეებიც ეხერხებოდა: პირველად საყოველთაო აღიარება მან – არც მეტი, არც ნაკლები – მიუნხენში ცირკის არენაზე მოიპოვა. მაშინ კლასიკურ ჭიდაობას მისდევდა და არათუ სხვებს, არამედ თავადაც ვერ წარმოედგინა, რომ გავიდოდა წლები და სულ სხვა სფეროში მოიხვეჭდა სახელს. სხვათა შორის, შემდგომში თავადვე აღნიშნავდა, რომ ქიმიურ მრეწველობაში დამკვიდრება სწორედ ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების წყალობით შეძლო – ჯორჯ კობი ძალიან ბევრს მუშაობდა და ხშირად, ლაბორატორიაში ღამეებსაც კი ათენებდა.

ყველაფერი კი ისე დაიწყო, როგორც სათავგადასავლო წიგნებშია ხოლმე – რაჭის სოფელ თხმორში, გლეხის – დავით კობახიძის ოჯახში დაბადებულ ბიჭს გულმა სახლიდან შორს, თავგადასავლების საძიებლად გაუწია. ჰოდა, დაკრა ფეხი და გამოიქცა. მაშინ გიგა 10 წლის იყო. თავის უფროს ძმას შენატროდა, ბორჯომში, ვიწროლინდაგიან რკინიგზაზე რომ მუშაობდა და თავადაც ორთქლმავლის მემანქანეობაზე ოცნებობდა. მშობლიური სოფლიდან ბორჯომისკენ ფეხით გამოემართა. მგზავრობის დროსაც უამრავი რამ გადახდა თავს – ოკრიბისკენ მიმავალს, აბრაგები შემოეყარნენ. მათმა მეთაურმა ბიჭუნას ოცნებების შესახებ რომ შეიტყო, ერთი გადაიხარხარა, მერე ჯიბიდან 10 ოქროს მანეთიანი ამოიღო და მუჭში ჩაუხრიალა: – წადი, ბიძია, კაცი გამოდი და მერე კი შენ იცი, მეც გამიხსენეო. აბრაგის ნაჩუქარი ფულით ქუთაისამდე ჩააღწია, მაგრამ იქ ერთ გულღრძო მედუქნეს შეშურდა მისი: პატარა გიგა მისსავე თანატოლებს ქუჩაში აცემინა და ოქროს მანეთიანებს თავად დაეპატრონა. თანატოლებისგან გაძარცული და გამეტებული რაჭველი ბიჭი ქუჩაში მეპურეებმა იპოვეს და შეიფარეს. **“რაჭველის საქმე პურის ცხობაა. ღვთის მადლით, ხელობას ქვე გასწავლით, დარჩი აქანა და იმუშავე!“** – უთხრა ერთ-ერთმა. მაგრამ გიგას ეს საქმე არ იზიდავდა. გულკეთილ მეპურეებთან მხოლოდ ორი ღამე გაათია, მერე კი ბორჯომისკენ განაგრძო გზა. შეუპოვრობის წყალობით, ყველა დაბრკოლება გადალახა და უფროს ძმას – ლეონტისაც მიაგნო. ის კინაღამ გადაირია და მოულოდნელად გამოცხადებულ გიგას შინ დაბრუნება დაუპირა, მაგრამ ბიჭმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: სანამ მემანქანეობას არ ვისწავლი, ბორჯომიდან ფეხსაც არ მოვიცვლიო. რაღა უნდა ექნა ლეონტის – ოჯახში წერილი აფრინა, გიგა ჩემთან არისო და უმცროსი ძმა ერთ რუს მემანქანეს მიაბარა.

გიგა საკმაოზე მეტად ბეჯითი მოსწავლე აღმოჩნდა – ორთქლმავლის მართვაც მალე შეისწავლა და მის მოწყობილობაშიც ბრწყინვალედ გაერკვა. ერთხელ, როდესაც ლეონტისთან ერთად ორთქლმავალი მიჰყავდა, რაღაც დეტალი მწყობრიდან გამოვიდა და მატარებელი გაჩერდა. მგზავრები, მუხლის გასაშლელად, ვაგონებიდან ჩამოვიდნენ, ხოლო გიგა და მისი ძმა ორთქლმავალს დაუტრიალდნენ. სწორედ ამ დროს მათ ერთ-ერთი მგზავრთაგანი მიუახლოვდა და ჰკითხა, – დახმარება ხომ არ გჭირდებათო? იგი ოდესელი ქიმიკოსი, ვინმე სიმონოვი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოში ბორჯომის ცნობილი მინერალური წყაროების შესასწავლად ჩამოსულიყო. იმ დღეს, რა თქმა უნდა, ორთქლმავალიც შეაკეთეს და გზაც განაგრძეს, მაგრამ გიგას ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო – სიმონოვი ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა და იმდენი ილაპარაკა ბორჯომის წყაროებსა და ჩამომსხმელ ქარხანაზე, რომ ყმაწვილი დიდად დააინტერესა: **“ბორჯომის მინერალური წყალი მეტად ფაქიზია... ამიტომაც მის შესანახად განსაკუთრებული შედგენილობის მინის დამზადებაა საჭირო“,** – ამბობდა სიმონოვი და გამურულ ახალგაზრდა მემანქანეს მოთმინებით უხსნიდა, თუ როგორ მზადდება მინა და რა თვისებები აქვს მას. საბოლოოდ, ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ გიგამ რკინიგზაზე მუშაობას თავი დაანება და ქარხანაში სიმონოვს მიაკითხა. მან მიიღო ყოფილი მემანქანე და ბოთლების კეთებაშიც დააოსტატა. სწორედ მაშინ მიხვდა 20 წლის გიგა კობახიძე, რომ მისი ნამდვილი მოწოდება ქიმია იყო და არა სხვა რამ: **“დაიმახსოვრე, ყმაწვილო: ჩვენისთანა ხალხს ადრე ჯადოქრებადაც კი ნათლავდნენ და სჯიდნენ, მაგრამ სიბნელის დამარცხება მაინც მოვახერხეთ და მაინც დავამტკიცეთ, რომ ქიმია – მეცნიერებაა! ამას მუხლჩაუხრელი შრომით მივაღწიეთ!“** – ასე ეუბნებოდა სიმონოვი ბიჭს, რომელიც ამ სიტყვებს შემდგომში ყოველთვის იხსენებდა.

ბორჯომიდან სიმონოვი ჯერ თბილისის მინის ქარხანაში გადმოიყვანეს, იქიდან კი მშობლიურ ოდესაში დააბრუნეს. გიგა, რომელსაც მინის წარმოება პრაქტიკულად უკვე კარგად შეესწავლა, თან გაჰყვა მას. ოდესის ქარხანაში ცოტა ხანს იმუშავა, მერე კი დააწინაურეს და დონბასში – დაბა კონსტანტინოვკაში გადავიდა: იქ ახალგაზრდა სპეციალისტები სჭირდებოდათ და სიმონოვმაც ურჩია, წასულიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ კონსტანტინოვკა მაშინ საშიში დასახლებაც იყო – ადგილობრივი კაზაკები ვერ იტანდნენ **“უცხო რჯულის“** მუშებს და აწიოკებდნენ; ცხადია, ისინიც ანალოგიურად პასუხობდნენ და ამიტომაც, კონსტანტინოვკაში დღე ისე არ გავიდოდა, მკვლელობა თუ არა, შეხლა-შემოხლა მაინც რომ არ მომხდარიყო. აი, ასეთ დაბაში გაუშვეს გიგა კობახიძე (იმხანად ის ოფიციალურად, რუსულ ყაიდაზე – **“გრიგორი კობახიდზევად“** იყო ცნობილი) მინის ქარხნის ხელმძღვანელად. შეუპოვარი ხასიათის წყალობით, ყმაწვილს არაფრად ჩაუგდია სიმონოვის მეუღლის ვიშვიში: ამ ოქროსავით ბიჭს ან კაზაკები მოკლავენ, ან – მუშებიო, და 1904 წელს, დანიშნულების ადგილას ჩავიდა.

რუსეთ-იაპონიის ომი ჯერ დასრულებული არც კი იყო, როდესაც იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ვითარება ძალიან დაიძაბა – უკმაყოფილო ხალხი მეფის გადადგომასა და რესპუბლიკის დამყარებას ითხოვდა. არარუსულ მხარეებში კი უკვე აშკარადაც კი გაისმოდა მოწოდება რუსეთისგან გამოყოფის შესახებ. დამოუკიდებლობის მომხრეები ყველაზე მეტად, საქართველოში აქტიურობდნენ, ამიტომაც ცარისტული **“ოხრანკა“** და ჟანდარმერია ქართველებს განსაკუთრებით უთვალთვალებდა. გრიგორი კობახიდზევი კონსტანტინოვკაში ერთადერთი ქართველი იყო და, ცხადია, ბრწყინვალე რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ ხიფათს მაინც ვერ ასცდა: ერთ წვიმიან ღამეს მას კარზე ორმა მამაკაცმა დაუკაკუნა და ღამის გათევის უფლება სთხოვა. ქარხნის დირექტორმა, რაღა თქმა უნდა, ორივე შეიფარა. დილით ადრე კი კაზაკები მიადგნენ და სტუმრებთან ერთად წაიყვანეს. ჟანდარმერიაში **“გამოარკვიეს“,** რომ კონსტანტინოვკის მინის ქარხნის დირექტორი კობახიდზევი უკრაინელ **“სამოსტოინიკებთან“** ანუ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებთან იყო დაკავშირებული. გიგა კობახიძე სასწრაფოდ დააპატიმრეს და გადასახლებასაც კი უპირებდნენ, მაგრამ ღმერთმა არ გაწირა – სასჯელად მხოლოდ შინაპატიმრობა და უსასყიდლოდ, უბრალო მუშად მუშაობა აკმარეს.

კონსტანტინოვკის მინის ქარხანაში ახალი დირექტორი გამოგზავნეს – ეროვნებით ფრანგი, გვარად გამანი. წინამორბედის გაცნობისთანავე, ფრანგი ქიმიკოსი დარწმუნდა, რომ რუსებს ტალანტის დაფასება მართლაც არ შეეძლოთ და გიგას ჟანდარმერიაში უშუამდგომლა – სოლიდური თანხა გადაიხადა, რათა ყოფილი დირექტორისთვის სასჯელი მოეხსნათ. კობახიძე გათავისუფლებით კი გაათავისუფლეს, მაგრამ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრება აუკრძალეს. ფრანგი კოლეგა კვლავაც დაეხმარა და გერმანიის ქალაქ მიუნხენში მცხოვრებ ძმასთან სარეკომენდაციო წერილი გაატანა: ეს კაცი ცნობილი ქიმიკოსია, რწმენით რესპუბლიკელი; რუსეთში აღარ დაედგომება და მიხედეო. ასე გაემგზავრა 25 წლის გიგა კობახიძე გერმანიაში. უკეთ რომ ვთქვათ, ის სხვა ყოფილ პოლიტპატიმრებთან ერთად გააძევეს ამ ქვეყანაში. ყმაწვილს ორი ხელი სამოსისა და შელანძღული ფეტრის შლაპის გარდა, აღარაფერი ებადა. ჯიბეში გამანის მიცემული ბარათი კი ედო, მაგრამ როცა მითითებულ მისამართზე მივიდა, იმედი სასტიკად გაუცრუვდა – ბატონი გამანი გარდაცვლილიყო, მისი მეუღლე კი ამერიკაში გადასვლას აპირებდა და დახმარება არაფრით შეეძლო. მან მხოლოდ მინის ქარხნის გზა ასწავლა ახალგაზრდა უცხოელს და ასე მოიშორა თავიდან.

მიუნხენის მინის ქარხანაში რუსეთიდან ჩასული პოლიტპატიმარი უბრალო მუშად მიიღეს და ისიც – ნახევარ განაკვეთზე: ქარხნის პატრონმა განუცხადა, – მე ფულს უქმად არ ვყრიო. გასამრჯელოც ძალზე მიზერული იყო და გიგა კობახიძემაც, გაგიკვირდებათ და, ცირკს მიაკითხა: ჭიდაობა ბავშვობიდან უყვარდა და საამისო მონაცემებიც ჰქონდა. სწორედ ცირკის პატრონმა, ცალთვალა ადრიან დრექსლერმა დააფასა ის – მოჭიდავეთა დასში წამყვან ათლეტად დანიშნა და დღიურად ათი მარკა გამოუყო. დრექსლერის ცირკი მიუნხენში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და, ასე გასინჯეთ, თვით მინის ქარხნის მეპატრონეც მისი ხშირი სტუმარი იყო.

გიგა კობახიძემ, ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების წყალობით, მიუნხენში მალე გაითქვა სახელი, როგორც დაუმარცხებელმა მოჭიდავემ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ის მინის ქარხნის მეპატრონემაც არენაზე შენიშნა და ისე მოიხიბლა მისი ილეთებით, რომ ქარხანაში საცდელი ლაბორატორიის მოწყობის ნება დართო. სწორედ აქედან დაიწყო ქართველი ქიმიკოსის აღმავლობა, თუმცა ჭიდაობისთვის თავი არ დაუნებებია – ისევ წარმატებით გამოდიოდა ცირკში და მაყურებელს აღაფრთოვანებდა. მალევე, გიგა დაქორწინდა კიდეც. მისი მეუღლე გახდა რუსი ემიგრანტის შვილი, ულამაზესი დაშა ნოდვიკოვა. თუმცაღა, ჯერ თაფლობის თვესაც არ ჩაევლო, როცა გიგა მორიგ ხიფათს გადაეყარა: მიუნხენს იტალიური ცირკის მოხეტიალე დასი ეწვია, რომელშიც ბლომად იყვნენ მოჭიდავეებიც; მათგან განსაკუთრებით ერთი, ვინმე ნერო გამოირჩეოდა – ის მძიმეწონოსანი იყო და მთელი ევროპა ისე მოევლო, ხალიჩისთვის მუხლიც კი არ ჰქონდა შეხებული.

...ადრიან დრექსლერის ცირკში ფალავნების შერკინება ქართველის გამარჯვებით დასრულდა. მოხეტიალე დასის ხელმძღვანელმა იხტიბარი არ გაიტეხა და დრექსლერს შესთავაზა, ფალავნები არალეგალურად, კიდევ ერთხელ შეეხვედრებინათ. იმხანად ეს გერმანიაში იკრძალებოდა, მაგრამ დრექსლერი მაინც დათანხმდა. შეხვედრა ჩაიშალა, რადგან პოლიციამ ყველაფერი შეიტყო და ფალავნებიც და პრომოუტერებიც, როგორც იტყვიან, ფაქტზე დააკავა – შეჯიბრების დაწყების წინ. ასე აღმოჩნდა გიგა საკანში, მაგრამ მინის ქარხნის მეპატრონემ ამჯერადაც უშველა: გამოსასყიდი გადაიხადა, ციხიდან გამოიყვანა და, მეუღლესთან ერთად, ლონდონის გავლით, ამერიკაში გაამგზავრა.

1909 წლის პირველ აგვისტოს გიგა კობახიძე ნიუ-იორკში ჩავიდა. იქ მაშინ მრავლად იყვნენ რაჭველი მეპურეები და მათთან შეაფარა თავი. პარალელურად კი მუშაობა **“ჯენერალ ელექტრიქსში“** დაიწყო. გამოცდილება უკვე საკმაოდ ჰქონდა და ამიტომ, იმდენად აღარაფერი გასჭირვებია: საწერი კალმები გააუმჯობესა და მათზე პატენტიც აიღო; მერე კი, საკანცელარიო მაღაზია გახსნა და წელშიც გაიმართა – ამერიკაში ჩამოსვლიდან სულ რაღაც 10 წელიწადში, მასაჩუსეტსის შტატში მინის საწარმოო ქარხანა გამართა და შექმნა კომპანია kobi gles prodaqtsქვე უნდა ითქვას – სახელიც მაშინ შეიცვალა და ჯორჯ კობი დაირქვა, თუმცაღა ქართველობისთვის არასოდეს უღალატია – მფარველობდა და ხელს უმართავდა თანამემამულეებს, ვისაც ამერიკაში ახალი ცხოვრების დაწყება ეწადა. სხვათა შორის, ცნობილია, რომ სწორედ ჯორჯ კობიმ გაუმართა ხელი შემდგომში კარგად ცნობილ ქართველ ოქროსმაძიებელ მაიკ მიტოს და ალასკაზე ოქროს გადამმუშავებელი ქარხანა ააშენებინა. გარდა ამისა, წარმატებულმა ქიმიკოსმა შეიამხანაგა ცნობილი ქართველი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი და დიპლომატი გიორგი მაჩაბელი, რომელმაც ამერიკაში პარფიუმერიის წარმოებას მიჰყო ხელი და სახელიც გაითქვა. მისი სუნამოებისთვის ჭურჭელს ჯორჯ კობის ფირმა ამზადებდა და, როგორც გიორგი მაჩაბელი შემდგომში აღნიშნავდა, მისი პროდუქციის წარმატების მთავარი მიზეზი ეს იყო.

კობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოგონება – წყალგამძლე ცემენტი და ზემდგრადი მინა-ბლოკი ფლორიდას უკავშირდება. ქართველ ქიმიკოსს კარგა ხნის განმავლობაში უწევდა იქ ყოფნა და ხედავდა, როგორ იტანჯებოდა მოსახლეობა: ტროპიკულ, ტენიან ჰავას ვერც აგური უძლებდა და ვერც ხე – ყველაფერი ძალიან მალე ფუჭდებოდა და ხელახლა გასაკეთებელი ხდებოდა. ჯორჯ კობიმაც, 20-იანი წლების დასაწყისში, დიდი ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა და სულ რამდენიმე წელიწადში გამოიგონა ცემენტი, რომელსაც ტენი ვერას აკლებდა; აგურის შედგენილობაშიც მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა და შექმნა მინა-ბლოკი, რომელიც შენობის გარედან მოსაპირკეთებლად იყო განსაზღვრული და მზის შუქს ირეკლავდა. ამ გამოგონებებმა ამერიკის მრეწველობაში გადატრიალება მოახდინა და მოგვიანებით – 30-იან წლებში, პირველი ცათამბჯენების აშენებისას, ფართოდ დაინერგა.

ჯორჯ კობი ამის წყალობით ძალიან გამდიდრდა და მულტიმილიონერად იქცა. სხვათა შორის, პირველი, რაც მან ამის შემდგომ გააკეთა, სათამაშოების მაღაზიისა და უპოვართათვის სასადილოების ქსელის გახსნა იყო. 1925 წელს ქართველი ქიმიკოსი ამერიკის უმდიდრეს ადამიანად მეოთხედ დაასახელეს – იმ დროისათვის ეს საოცრება იყო. ჯორჯ კობი ერთხმად, ამერიკის ქიმიური მრეწველობის მეფედ აღიარეს.

იმავე წელს, ქართველმა მილიონერმა სამშობლოშიც იმოგზაურა – დღეს ძნელი სათქმელია, როგორ ან რის გამო დართო კომუნისტურმა რეჟიმმა ამერიკაში ცნობილ ქიმიკოსს საქართველოს მონახულების ნება, მაგრამ ფაქტია, რომ ჯორჯ კობი, იგივე გრიგოლ კობახიძე 1925 წელს, ოც წელზე მეტი ხნის განშორების შემდეგ, პირველად ჩამოვიდა საქართველოში. მოინახულა ყველა, ვისთანაც თავისი ბობოქარი ცხოვრება აკავშირებდა და კარგადაც დაასაჩუქრა ისინი. დედას, რომელიც ისევ ცოცხალი დახვდა, 10 ათასი მანეთის ღირებულების საჩუქრები ჩაუტანა. დაასაჩუქრა ასევე ის მეპურეებიც, რომლებმაც ქუთაისში ოდესღაც შეიფარეს. იმ აბრაგსაც კი ეძებდა, ვინც 10 ოქროს მანეთიანი აჩუქა, მაგრამ ვერსად მიაგნო – 1924 წლის ცნობილ აჯანყებას შესწიროდა. **“აქ ახლა ბოლშევიკები არიან... დაგვაშინეს ყველანი და თავად კი ისე ლაღად დადიან, გაგიკვირდება“,** – ეუბნებოდა გიგას უფროსი ძმა ლეონტი, რომელმაც ამერიკაში წამოსვლაზე უარი განაცხადა – ბოლშევიკები ამას არ მაპატიებენო.

ჯორჯ კობი მეორე სამშობლოში მარტო გაბრუნდა. 3 წლის შემდეგ კვლავაც ჩამოვიდა და საკუთარ სოფელში ეკლესია და მღვდლის სახლი გააახლა. გაუკვირდა, როცა ზოგიერთმა სოფლელმა იცნო და არც კი მისალმებია; მისი ძმებიც როგორღაც მორიდებულად ელაპარაკებოდნენ. ჩამოსვლის დღესვე ორმა ტყავისქურთუკიანმა ახალგაზრდამ მოინახულა და უაზროდ ელაპარაკა კაპიტალიზმის მავნებლობაზე. მათ გიგამ მოთმინებით მოუსმინა და პასუხის ღირსად არ ჩათვალა. მეორე დღეს, ლეონტის შვილმა, მიშამ თბილისიდან ამბავი ჩამოუტანა – ბოლშევიკებს შენი დაპატიმრება სურთო და გიგაც იძულებული გახდა, სამშობლო სამუდამოდ დაეტოვებინა.

“დიდი დეპრესიის“ ხანა – გასული საუკუნის 30-იანი წლები ჯორჯ კობისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა: 1932 წელს თავი მოიკლა მისმა კომპანიონმა ევგენი იგნატიევმა, ხოლო მეორე კომპანიონი – ამერიკაში **“პრინცის“** სახელით ცნობილი გიორგი მაჩაბელი 1935 წელს საბჭოთა აგენტებმა მოკლეს. **“კობი გლეს პროდაქტსმა“** მცირე ხნით დაღმასვლა იწყო, მაგრამ II მსოფლიო ომის დროს, ხელისუფლებისაგან სამხედრო პროდუქციაზე მიიღო შეკვეთა და, ჯორჯ კობი ისევ უმდიდრეს ადამიანად იქცა. 1939 წელს, საკუთარი ხარჯით, ჩინეთიდან ამერიკაში ჩაიყვანა ცნობილი ფარმაცევტი ნიკო ჯიშკარიანი და ლაბორატორია მოუწყო. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გააკეთა, რათა ირგვლივ მყოფთათვის სიხარული მიენიჭებინა.

დღესდღეობით, kobi gles prodaqtsi კვლავ არსებობს და ძირითადად, ნაძვის ხის სათამაშოებს აწარმოებს. მისი შემქმნელის – მეცენატ ჯორჯ კობის სახელიც ბევრს გაუგონია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ის წარმოშობით ქართველი იყო და სანამ ჯორჯ კობი გახდებოდა, ძალიან გრძელი და ხიფათებით აღსავსე გზა გაიარა.

მიხეილ ლაბაძე
ჟურნალი ”გზა”

“ყველა ერი ჩაიძირება, ადამიანები მშივრები და შიშვლები ივლიან” – ვანგას წინასწარმეტყველება ახლოვდება?

ბულგარელი ნათელმხილველი ვანგას წინასწარმეტყველებები მისი ბიოგრაფიით დაინტერესებულ ბევრ ადამიანს არ აძლევს მოსვენებას. 80-იან წლებში მან ბევრი ადამიანის სიკვდილი იწინასწარმეტყველა. **“უბედურება ყოველი მხრიდან გამოჩნდება, ყველა ერი ჩაიძირება... ადამიანები ფეხშიშველი ივლიან ტანსაცმლის გარეშე, არ ექნებათ საკვები, საწვავი და შუქი”,** – ამბობდა ვანგა. თუ აქამდე მის სიტყვებს ფინანსურ კრიზისს უკავშირებდნენ, ახლა თვლიან, რომ ვანგამ დევნილების ამბები იწინასწარმეტყველა.

ვანგა სირიის შესახებ

“დადგება ძალზე მძიმე დროება. ადამიანები სარწმუნოების მიხედვით დაიყოფიან... სირია გამარჯვებულის ფეხებთან პირქვე განერთხმება, გამარჯვებული კი ის არ იქნება... ძმა ძმის წინააღმდეგ, მამა კი შვილის წინააღმდეგ წავა, დედები საკუთარ შვილებს უპატრონოდ მიატოვებენ. ყველა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნებს..”, – ასეთი იყო ვანგას წინასწარმეტყველება 1978 წელს.

ვანგა ევროპის შესახებ 2016 წლისთვის

“ის რაც გაერთიანდა, ნაწილებად დაიშლება. ეს რუსეთის სიახლოვეს მოხდება”. აქამდე ითვლებოდა, რომ ვანგა ამ წინასწარმეტყველებაში ევროკავშირს გულისხმობდა, მაგრამ ამჟამად თვლიან, რომ ბულგარელი ნათელმხილველი უკრაინაზე საუბრობდა.

“დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში დიდი რაოდენობის რადიოაქტიული ნარჩენების ჩაყრის შედეგად გაწყდებიან ფრინველები, ცხოველები და მცენარეები. შემდეგ მუსულმანები დაიწყებენ ქიმიურ ომს ცოცხლად გადარჩენილი ევროპელების წინააღმდეგ”.

დღეს ექსპერტები შიშობენ, რომ საკმაოდ დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონე **“ისლამური სახელმწიფოს”** ტერორისტები სულ მალე ატომურ ტექნოლოგიებს მოიპოვებენ და ბირთვულ ბომბებს შექმნიან. ვანგას არც ის წინასწარმეტყველება გახლავთ უსაფუძვლო რომ 2043 წელს **“ევროპას უკვე მუსულმანები წარმართავენ”.**

ვანგა რუსეთის შესახებ

“ყველაფერი ყინულივით გალღვება, მხოლოდ ერთი დარჩება ხელუხლებელი – ვლადიმირის დიდება, რუსეთის დიდება. ძალიან ბევრი რამაა მსხვერპლად შეწირული. ვერავინ შეძლებს რუსეთის შეჩერებას. ის ყველაფერს წალეკავს თავის გზიდან და არა მხოლოდ გადარჩება, არამედ სამყაროს მბრძანებლად იქცევა. მას ძალები ღმერთმა მისცა”, – იწინასწარმეტყველა ვანგამ 1979 წელს.

“დიახ, გეშინოდეთ პრორუსული ძალის!” – ფრაზა, რომელმაც ინტერნეტსივრცეში უდიდესი შფოთვა გამოიწვია

“ხმამაღლა ვაცხადებ: დიახ, გეშინოდეთ პრორუსული ძალის. დიახ, იმიტომ არის შეშფოთებული გენერალი ხიდაშელი, სოროსელი? არაფრის არ გვეშინია, ჩვენ ვართ ჩვენი სამშობლოს პატრიოტები!”

“რუსეთი ჩვენი მეგობარია!”

“რუსეთთან ურთიერთობა და მეგობრობა გვინდა, იმიტომ რომ ყველანაირად ნორმალური ქვეყანაა!”

“ჩვენ არ ვამბობთ, რომ რუსებს ბრმად უნდა დავემონოთ, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია რუსებთან დიალოგი და ნეიტრალიტეტის გამოცხადება, რათა რუსებს ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიიდან საფრთხე არ დაემუქროს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთს შეუერთდა ღარიბ-ღატაკი 600-ათასმაცხოვრებლიანი საქართველო, რომელიც მეოცე საუკუნეში იქცა ერთ-ერთ მდიდარ და განვითარებულ სახელმწიფოდ 5-მილიონიანი მოსახლეობით...”

ეს არის ხალხმრავალი აქციის მონაწილეთა ფრაზები, რომლებმაც ქართული ინტერნეტსივრცეში უდიდესი შფოთვა გამოიწვია. აქცია 24 სექტემბერს პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა და ის **“ერეკლე მეორის საზოგადოების”** მიერ იყო ორგანიზებული.

ავლაბრის რეზიდენციასთან შეკრებილმა **“ერეკლე მეორის საზოგადოების”** წევრებმა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების და დიპლომატიური კავშირების აღდგენის, ასევე საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილის არჩილ ჭყოიძის განცხადებით, საჭიროა საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება დაიწყოს.

“ევროპამ და ამერიკამ ქვეყანას მხოლოდ პამპერსები მოუტანა, ამიტომ საჭიროა, პრეზიდენტმა ჩვენი მოთხოვნა მოთხოვნა გაითვალისწინოს”, – განაცხადა არჩილ ჭყოიძემ.

თუ ეწყინა ვინმეს – წაჩხურის ცივი წყალი დალიოს!

ახლა არ დამიწყოს არავინ – ილია ჭავჭავაძე არა ხარ ასე რომ ილაპარაკო! მსურს ასეთებს ვუთხრა, რომ მშვენივრად ვაცნობიერებ იმას რასაც ვამბობ!

ახლა, რა მინდა ვთქვა ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე:

ჩვენ რაც გვჭირს ჩვენი ბედოვლათობისაგან გვჭირს!

ჩვენ რა მდგომარეობაშიც ვართ ახლა როგორც ერი და როგორც სახელმწიფო – სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერი!

ჩვენ უკეთეს მდგომარეობას არ ვიმსახურებთ, რადგან აბსოლუტურად მოკლებულნი ვართ ეროვნულ-სახელმწიფოებრივად აზროვნებას!

ჩვენ, უმეტესობა მხოლოდ საკუთარ, პირად გამორჩენას ვეძებთ ყველგან და ყველაფერში!

ჩვენ იმდენად გვკიდია ფეხებზე ყველაფერი – ოდონდაც რაღაცა დავსცინცლოთ ფულის ტომარებს თუ პოლიტიკან აფერისტებს და არ დავეძებთ იმას, თუ ვინ რა იდეოლოგიურ-პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას!

ჩვენ არ გვაინტერესებს პოლიტიკანთა ნამდვილი ზრახვები!

ჩვენ არ გვაინტერესებს კონცეპტუალურად და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი საკითხები!

ჩვენ იმდენად უპრინციპონი ვართ, რომ პირადი კეთილდღეობისათვის თუ დაგვჭირდა ნებისმიერ ვიგინდარას ერის მხსნელადაც კი გამოვაცხადებთ!

ჩვენ იმდენად თავხედებიც ვართ – როცა უტიფრად ვუმტკიცებთ ერთმანეთს ამა თუ იმ გარეწარის სიდიადეს – წარბსაც კი არ შევიხრით!

ჩვენ იმდენად ვირეშმაკებიც ვართ, რომ ჩვენს ამაზრზენ და სულმოკლე საქციელს ეროვნულ-სახემწიფოებრიობაზე ვითომდა მზრუნველობით ვამართლებთ!

ჩვენ არ გვაქვს უნარი ვინმეს კეთილგონიერი თვალსაზრისი დავაფასოთ და გავითავისოთ!

სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს თვისება ნებისმიერი ბითურული მოსაზრება პირმოთნედ, ქლესურად ლამის სახარებისეულ ჭეშმარიტებად მივიღოთ და გავასაღოთ!

დიახ! ჩვენ ნამდვილად ასეთები ვართ და ასე უღირსად, ასე გულისამრევად იმიტომ ვიქცევით, რომ დეგრადირების გზას შეუქცევადად ვადგივართ!

დიახ ასეა ეს ჩემო ძვირფასებო! ასე, რომ არ იყოს – არ შეიძლება, წარმოუდგენელია ამ პატარა ქვეყანაში და ამ მცირერიცხოვან ხალხში მამათელ **„დიდ პოლიტიკოსს”** და მის **„მოქკავშირს”,** უფშვიტინე მიშას და მის **„ნაც-ხროვას”**, ჭორვილელ აფერისტს და მის **„აჯაფსანდალს”** – ამდენი თაყვანისმცემელი ჰყოლოდა!

დიახ! ასეა ეს და თუ გამართლდა მოარული ხმები, რომ ახლა ამ **„დიდი სამეულიდან”** ერთ-ერთის ნაშიერიც აპირებს პოლიტიკაში ჩართვას – აი, ნახავთ ჩემი ეს მწარე ვერდიქტიც სწორი და მართალი თუ არ აღმოჩნდა!

P.S. *იმედი მაქვს, რომ არცერთი ღირსეული მამულიშვილი ამას თავისი მისამართით არ აღიქვამს... და მაინც, თუ ვინმე საკუთარი პერსონის მისამართით მიიღებს – ე. ი. იცის ალბათ თუ რატომაც... თუ ეწყინა ვინმეს – ეწყინოს... ამ შემთხვევაში მხოლოდ ის შემიძლია ვურჩიო ასეთს – წაჩხურის ცივი წყალი დალიოს!*

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე

ქართველი პირველი პირები და მათი არაოფიციალური ქალები

ხელისუფლების უმაღლესი პირების ერთ-ერთი სუსტი წერტილი საპირისპირო სქესის ადამიანები არიან. ბუნებრივია, გამონაკლისს არც ქართველი მეფეები წარმოადგენდნენ, მათაც ჰქონდათ ეს სისუსტე, თუმცა ზოგს მეტად, ზოგსაც – ნაკლებად. მაგალითად, ისტორიულად ცნობილი ფაქტია (შემდეგ ეს გიორგი მერჩულემ აღწერა თავის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში – **“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”**), რომ შემდგომში წმინდანად შერაცხულ აშოტ კურაპალატს, ზნეკეთილ მეფეს, **“გარდარეული სიყვარულით”** შეუყვარდა ერთი ქალი, დაივიწყა ღირსებაც, პატივიც, მოვალეობაც ღვთისა და ერის წინაშე და დედოფლისთვის აღდგენილ არტანუჯის სასახლეში მიიყვანა იგი. ღირსმა გრიგოლ ხანძთელმა შეიტყო **“საქმე იგი სულისა განმხრწნელი”, “შეწუხდა ფრიად”,** ეახლა მეფეს და ამხილა მისი უღირსი საქციელი. შეცბუნებულმა აშოტმა აღუთქვა განტევება ქალისა, მაგრამ სიტყვა ვერ შეასრულა, **“რამეთუ დაემონა გულისთქუმასა”**. ღირსმა გრიგოლმა აშოტ კურაპალატის დაუკითხავად დედაკაცი სასახლიდან წაიყვანა და მერეს დედათა მონასტერში წინამძღვარ თებრონიას მიჰგვარა. მეფემ დედა თებრონიას ქალის გაშვება სთხოვა: მონაგები ჩვენი მის ხელთ არისო. დედა თებრონიამ მკაცრად შეახსენა მეფეს, **“მიზეზად მიზეზთა კაცთა თანა, რომელნი იქმან უსჯულოებასა”**. ხორციელად ძლიერმა ხელმწიფემ თავი დადრიკა **“სულით ძლიერი”** დედის წინაშე და ოხვრით წამოსცდა: **“ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს”.** ღვთისმოშიშმა მეფემ, რომელსაც **“მამხილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ”** ძლია მის პირად გრძნობებს და კეთილგონიერად გააგრძელა ქვეყნის მართვა.

არანაკლებ ცნობილი ფაქტია, როდესაც თამარ მეფის ვაჟს, საქართველოს მეფეს ლაშა-გიორგის ველისციხელი აზნაურის ქალი შეუყვარდა, რომელიც მეუღლედაც დაისვა, თუმცა შემდეგ ეს ქალი დააშორეს. როგორც ჩანს, ლაშას სიყვარული ამ ქალისადმი იმხელა იყო, რომ ამის მერე ცოლი აღარ შეურთავს. მასთან ლაშას ერთი ვაჟი, დავითი ეყოლა, რომელიც შემდგომში საქართველოს მეფე გახდა. ამ ისტორიაში არაფერი გასაკვირი არ იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება, მეფეს იმდენად შეუყვარდა ქალი, რომ ის მის კანონიერ მეუღლეს ძალით გააშორა. სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად გრიგოლ აბაშიძის ცნობილ რომანს **“ლაშარელა”.**

ხშირი იყო, როდესაც ქართველი მეფეებს რამდენიმე ცოლი ჰყავდათ, თუმცა ეს ძირითადად პოლიტიკური მიზნებით იყო გამოწვეული, რადგან ქართველი მეფეები არ ეკუთვნოდნენ მხოლოდ საკუთარ თავს და მათი ყველა ნაბიჯი სახელმწიფოს ინტერესით იყო ნაკარნახევი და ხშირად მეორე ნახევარს იმის მიხედვით ირჩევდნენ, თუ ვისთან დამოყვრება სჭირდებოდა ქვეყანას (მაგალითად, რომ არა მეფე დემეტრე თავდადებულის დაუჯერებელი თავგანწირვა, რამაც მას წმინდანის შარავანდედი არგუნა, იგი საქართველოს ისტორიას შემორჩებოდა როგორც ერთ-ერთი **“უხვცოლიანი”** მეფე – რედაქცია).

საინტერესოა, რომ მოკავშირის შეძენის ასეთ ხერხს მიმართავდნენ არა მარტო სუსტი მმართველები, არამედ ძლიერი მეთაურნიც, მაგალითად: დავით აღმაშენებელს ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ცოლად შერთეს სომეხი ქალი, რომელთანაც შეეძინა ვაჟიშვილი დემეტრე (შემდგომში დემეტრე I), პირველი ცოლის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩადთა მთავრის ათრაქა შარადანის ძის ასული, რომელთანაც შეეძინა კიდევ ერთი ძე ვახტანგი (ცუტა) და ასულნი – თამარი, კატაი და თამარ მრწემი.

ნიშანდობლივია, რომ დავითის უფროსი ქალიშვილი თამარი ცოლად ყავდა შირვანის შაჰს მანუჩარ II-ს, კატაი – ბიზანტიის კეისარ იოანე კომნენოსის უმცროს ძმას, ალექსის, ხოლო თამარ მრწემი – ოსეთის მეფეს (დემეტრე I-ს დროს მისთხოვდა).

როგორც ჩანს, მიუხედავად დავითის სიძლიერისა, ის მაინც ცდილობდა მოკავშირის ყოლას, რაც მის ყივჩადებთან და ოსებთან დანათესავებაში გამოიხატა კიდეც.

ყივჩაღები იმ დროინდელ კავკასიაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, რაც კარგად უწყოდა დავითმა და ეს ყველაფერი საქართველოს სასარგებლოდ გამოიყენა კიდეც. ნაკლებ სავარაუდოა, რომ დავითს განსაკუთრებული სიყვარულის გამო შეერთოს გურანდუხტი, ეს უფრო პოლიტიკურ ნაბიჯს გავს, ვიდრე გამიჯნურებული მეფის ქცევას. რაც შეეხება დავითის შვილების უცხო ქვეყნებში გათხოვებას, ამ შემთხვევაში პირიქითაა საქმე. ამ ქვეყნებს საქართველო ესახებოდათ ძლიერ მოკავშირედ და შეიძლება ითქვას, მფარველადაც კი.

რაც შეეხება საქართველოს იმ მმართველებს, რომლებიც ხალხის მიერ იყვნენ არჩეული (ასეთი სულ ოთხია), მხოლოდ ერთ მათგანზე ვრცელდებოდა ხმები, რომ განსაკუთრებით უყვარდა ქალები.

პირველი მმართველი ზვიად გამსახურდია იყო, რომელიც მეუღლის ერთგული იყო და ჭორის დონეზეც კი არ თქმულა მისი არაკანონიერი სიყვარულის შესახებ.

ანალოგიური შეიძლება ითქვას ედუარდ შევარდნაძეზეც, რომლის სიყვარული ნანული შევარდნაძისადმი სწორედაც რომ სამაგალითო იყო. როდესაც შევარდნაძეზე ყვებიან რამეს, აბსოლუტურად ყველა უსვამს ხაზს მის დამოკიდებულებას ნანულისადმი.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან უამრავი ჭორ-მართალის ქარცეცხლში გაეხვა. ჭორების მიხედვით, მიუხედავად ცვედანობისა და მამაკაცური სისუსტისა, მას განსაკუთრებით უყვარდა ქალები (ალბათ - გაუკუღმართებულად) და დიდ დროს ატარებდა მათ გარემოცვაში.

რაც შეეხება ახლანდელ პრეზიდენტს, მისი აქტივობებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ მისთვის ოჯახი და საკუთარი მეორე ნახევარი (თუნდაც პრეზიდენტობამდე – გიორლ-ფრენდი) უმთავრესია, სწორედ ამიტომაცაა, რომ მის სასიყვარულო ურთიერთობაზე არავითარი ჭორი არ გავრცელებულა.

ლადო გოგოლაძე

როგორ ამშვიდებდა ბუში სააკაშვილს და რა ჩამოიტანა ამერიკულმა სამხედრო გემმა ბათუმში?

აპირებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და თუ აპირებს, როგორ?

ვიდრე ამ კითხვას გასცემს პასუხს ხელისუფლება, მას და სხვას შევახსენებ, რომ დაკარგულის დაბრუნება შეიძლება ორი გზით – ომით და მოლაპარაკებით. ასე იყო და არის მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. მაგრამ, როგორც ზოგიერთები გვიმტკიცებენ, არის მესამე გზაც – დამპყრობლის იძულება ანუ ნებაყოფლობით – ცხადია, ზეგავლენის შედეგად, მიტაცებულის დაბრუნება.

ეს ვარიანტი ძნელად განსახორციელებელია, ვინაიდან მჭიდროდ უკავშირდება მიმტაცებლის ზომასა და წონას, სამხედრო ძლიერებას და რაც მთავარია დემოკრატიულობის ხარისხს – სხვაგვარად, უფრო რბილად, რომ შეახედებს დამპყრობელს, წაგლეჯილი ტერიტორიის ყოფილ პატრონზე. **"სხვაგვარი", "რბილი"** შეხედვის ინიციატორი აუცილებლად უნდა იყოს დაზარალებული მხარე. მან ყველაფერი უნდა იღონოს დამპყრობლის გულის მოსაგებად. ამ პროცესს უდავოდ უნდა ერთვოდეს სხვა ქვეყნების სისტემატური ძალისხმევა დამპყრობლის პოზიციების შესაცვლელად და დაზარალებულის მხარდასაჭერად.

აღნიშნული ვარიანტებიდან ძალისმიერი დაბრუნება ომს უკავშირდება და დაძაბულობას არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში. მოლაპარაკების გზა ხანგრძლივი და დაძაბულია, თან გულისხმობს დათმობასაც, გაცვლასაც. მაგალითად, ნაცვლად ტერიტორიის დაბრუნებისა, პოლიტიკური დათმობა.

საქართველოს ხელისუფალთა გაუთვლელმა პოლიტიკამ და რაც მთავარია სხვისმა მოიმედეობამ ერთობ მძიმე დღეში მოაქცია ქვეყანა. 1992-2008 წლებში განხორციელებულმა თბილისურმა ავანტიურამ, ისეთ ჩიხში შეიყვანა ქვეყანა, რომ იქიდან გამოსვლა ძალისმიერი პოლიტიკით ან თუნდაც მოლაპარაკებების გზით ძნელად განსახორციელებელია.

ძალისმიერი გზით რომ საქართველო ვერასდროს შეძლებს რუსეთის დაჩოქებას, ცხადია. რა დონეზე უნდა დაეცეს რუსეთი, მისი შეიარაღებული ძალები, რომ საქართველომ შეძლოს მისი დამარცხება?

რუსეთის ომში დამარცხების ჰალუცინაციური მოლანდება ღრმად იყო გამჯდარი საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლებისა და სამხედროების გონებაში. გახსოვთ ალბათ, ეთერში გაჟღერებული პატრიოტული ფრაზები – როსტოვამდე ჩავალთ. ამ მოსაზრების მატარებელ სამხედროებს ის მაინც უნდა მოეხერხებინათ, რომ ერთი თვით გაეძლოთ **"ჟანგიანი ტანკების"** პატრონი რუსეთისთვის.

1992 წელს, გაუწვრთნელმა სამხედრო ლაშქარმა გაცილებით დიდხანს იომა აფხაზეთში, ვიდრე ამერიკელთა მიერ გამოზრდილმა ქართულმა **"არმიამ"** სამხრეთ ოსეთში.

ქართველი მეომრებისთვის არც ავღანური პრაქტიკა და არც ცენტრალური აფრიკული ან უკრაინული საკმარისი არ არის რუსეთის ჯართან დასაპირისპირებლად, აღარაფერს ვამბობ შეიარაღებაზე. რუსეთი ხომ იარაღით ვაჭრობის საქმეში მეორეა მსოფლიოში, აშშ-ს შემდეგ. რუსეთი, რომელიც ბირთვული იარაღის მფლობელია, არ შეუდრკება ამერიკის მიერ ნახმარი იარაღითა და მძიმე ტექნიკით შეიარაღებულ ქართულ ჯარს. რუსეთი არ შეშინდება ფრანგული რაკეტებით, რომლის ყიდვას ყოფილი თავდაცვის მინისტრი ალასანია ფიქრობდა და დღევანდელი მინისტრი ხიდაშელი იმეორებს. არც საქართველოს **ნატო**-ში შესვლით შეშინდება რუსეთი, ვინაიდან კარგად იცის, რომ **ნატო** რუსეთთან შეჭიდებით არ გაიწირავს თავს.

ახლა რაც შეეხება მოლაპარაკებას. ეს საშუალება მნიშვნელოვანია და მას პროფესიონალი მომლაპარაკებელი, მეტადრე მრავლობით რიცხვში, ესაჭიროება, გარდა ამისა, ხელისუფლების გადაწყვეტილება, იყოს მზად ხანგრძლივი, დამქანცველი დიპლომატიური მარათონისთვის. პარალელურად თავი შეიკავოს პარტნიორის ლანძღვა-გინებისგან და იღვაწოს მედიის მიერ სისტემატური განქიქების აღკვეთისთვის.

არც ერთს და არც მეორეს საქართველოში ადგილი არ აქვს. ქვეყნის დიპლომატია მწირია პროფესიონალი, საზრიანი მომლაპარაკებლებით. გარდა ამისა, სახელისუფლებო შტოებიდან დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები იფრქვევა დღევანდელი მტრის, ხვალინდელი მოლაპარაკების პარტნიორის მისამართით. ავიღოთ პრეზიდენტ მარგველაშვილის ინტერვიუები, მიცემული უცხოური მედიისთვის და პრემიერ ღარიბაშვილის განცხადება **"აფხაზეთობასთან"** დაკავშირებით. როგორც ჩანს მარგველაშვილს ჰგონია, რომ უცხოურ პრესაში ნათქვამი მხოლოდ იმ ქვეყანაში გაჟღერდება, სადაც გაზეთი გამოდის და არა სხვაგან, მაგალითად რუსეთში.

ის, რაც მარგველაშვილმა ბრძანა, შორს არის – **"ენა ტკბილი მოუბარის"** – სიბრძნისგან. არის გამომწვევი, თანაც შეურაცხმყოფელი, მომავალი პარტნიორისთვის. და ეს ყველაფერი ლუკაშენკოს პოზიტიური ვიზიტის ფონზე და მარგველაშვილის დაპირებაზე, რომ მზადაა მოლაპარაკებისთვის. მარგველაშვილის ინტერვიუებმა გააბათილეს ლუკაშენკოს ვიზიტის დროს გამოთქმული მოსაზრებები.

სულ ახლახანს, **"აფხაზეთობის"** დღის აღსანიშნავ დღესასწაულზე ღარიბაშვილმა გამოთქვა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დაწყების სურვილი, მაგრამ ისიც დაამატა, რომ ტერიტორიული საკითხი არ იძლევა ამის საშუალებას და ვიდრე ეს არ მოგვარდება, შედეგიანი დიალოგიც არ შედგება. გარდა ამისა, პრემიერმა ახსენა აფხაზი ძმები და დები, რომლებთანაც საქართველოს სურს უწინდელი მეგობრობა.

პრემიერმა, ისე, როგორც პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ მისი ნათქვამი, ატაცებული მედიის მიერ, უმალ მთელ მსოფლიოს მოედება. მსოფლიოში რუსეთიც შედის და თუ ნაურუსა და ზიმბაბვეში ამ განცხადებებს ყურადრებას არავინ მიაქცევს, რუსეთში – მიაქცევენ.

მაინც რა მესიჯის მატარებელია პრემიერის ნათქვამი? რუსეთისთვის – არაფრის. რატომ? იმიტომ, რომ იმიტომ.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რომ საქართველო რუსეთთან სერიოზულად არ დაილაპარაკებს – არახალია. და თუ დალაპარაკება არ მოხდა, როგორღა მოხდება ტერიტორიების დაბრუნება? ღარიბაშვილის განცხადება **"რბილი"** პოზიციის გამოხატულებაა – მხარეს, ლაპარაკის სურვილი რომ აქვს, მაგრამ რაღაც რომ ხელს უშლის.

ორწელიწადნახევარია ამ პოზიციაზეა საქართველო, რაც რუსეთისთვის ცნობილია, ამდენად საქართველოდან რაიმე პოზიტიურს ის არ ელოდება. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, ის გაჟღერდა ლუკაშენკოს პირით – დავიწყოთ მოლაპარაკება და მსვლელობისას დავადგინოთ, სადამდე შეგვეძლება წასვლა. ლუკაშენკოს ამ განცხადებაზე იყო ღარიბაშვილის პასუხი? ის უფრო ულტიმატუმს ჰგავდა თავისი შინაარსით, ვიდრე დიპლომატიური მოლაპარაკების დაწყების სურვილს.

დიპლომატიური მოლაპარაკების წინააღმდეგია **"ნაციონალური"** ოპოზიცია, სხვებიც, რომლებიც თვლიან, რომ პირისპირ ლაპარაკში რუსი მომლაპარაკებელი დაჯაბნის ქართველს და ამისთვის იქ მესამეც უნდა იყოს – ცხადია ევროპელი ან ამერიკელი.

არც ევროპელს და არც ამერიკელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ აღელვებს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო 2008 წლის აგვისტოში, თორემ მაშინ რომ ვაშინგტონს ყური აეწია სააკაშვილისთვის, არც ომი იქნებოდა და არც პრობლემა გაჩნდებოდა. პირიქით, რაც მათ გააკეთეს, წაქეზებას ჰგავს – **"მიდით, ქართველებო, ჩვენ აქ ვართო"**. გახსოვთ ალბათ, რა გულმოსული ელაპარაკებოდა სააკაშვილი აშშ-ს პრეზიდენტ ბუშს ტელეფონით. **"სად ხართო"**, – გაოგნებული კითხულობდა გაცუცურაკებული სააკაშვილი. **"მიშა, დამშვიდდიო"**, – იყო ბუშის პასუხი და საქართველოს საზღვაო სანაპიროს, სასმელი წყლითა და ტუალეტის ქაღალდით დატვირთული ამერიკული სამხედრო გემი მოადგა.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება ორმხრივია და არა სამმხრივი. არც კონფერენციაა. მომავალი პარტნიორი არც ისეთი ურჩხულია, როგორც დასავლეთი ხატავს. მასთან შეიძლება ლაპარაკი. ეს, რომ ასე არ იყოს, ევროპა-ამერიკის არც ერთი პოლიტიკოსი ხმას არ გასცემდა რუსეთს.

პირადად ჩემი აზრი ასეთია – როდესაც ჩიხში ხარ შესული, დალაპარაკების მეტი სხვა გზა არ გაქვს. მართალია, დიპლომატიური მოლაპარაკება დაგვიანებულად მეჩვენება, მაგრამ სხვა გზა რომ არ არის?! ღარიბაშვილი კი ისევ ძველ პოზიციას აწვება – ჯერ ტერიტორიული მთლიანობა, შემდეგ ლაპარაკი. თუ რუსეთმა ტერიტორიული მთლიანობა აღგვიდგინა, მოსალაპარაკებელიც რაღაა?

მოლაპარაკება ტერიტორიების დასაბრუნებლად უნდა წარვმართოთ, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ იმის ცრუ რწმენა თავში არ უნდა ჩავიდოთ, რომ ერთხელ ლაპარაკით ან რაღაცის დათმობის გარეშე, რაიმე გამოგვივა. გარდა ამისა, საკითხავია, აპირებს თბილისი ჩვენს დებთან და ძმებთან, აფხაზებთან და ოსებთან საერთო ცხოვრების დაწყებას? თუ აპირებს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ისინი რახანია "დამკაში" არიან გასული, სწორედაც თბილისის მხრიდან რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყების გაჭიანურების გამო. აფხაზები და ოსები რახანია დამოუკიდებლად ცხოვრების სიამტკბილობაში არიან. მათ ეს დამოუკიდებლობა სისხლითა და ოფლით მოიპოვეს, რაც ნაკლებ საფუძველს იძლევა დამოუკიდებლობის, ავტონომიაზე გაცვლისა.

მოლაპარაკება ტერიტორიების დასაბრუნებლად უნდა წარვმართოთ, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ იმის ცრუ რწმენა თავში არ უნდა ჩავიდოთ, რომ ერთხელ ლაპარაკით ან რაღაცის დათმობის გარეშე, რაიმე გამოგვივა. გარდა ამისა, საკითხავია, აპირებს თბილისი **"ჩვენს დებთან და ძმებთან, აფხაზებთან და ოსებთან"** საერთო ცხოვრების დაწყებას? თუ აპირებს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ისინი რახანია **"დამკაში"** არიან გასული, სწორედაც თბილისის მხრიდან რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყების გაჭიანურების გამო. აფხაზები და ოსები რახანია დამოუკიდებლად ცხოვრების სიამტკბილობაში არიან. მათ ეს დამოუკიდებლობა სისხლითა და ოფლით მოიპოვეს, რაც ნაკლებ საფუძველს იძლევა დამოუკიდებლობის, ავტონომიაზე გაცვლისა.

ვერც ჟენევაში ვივარგეთ და ვერ შევუსრულეთ **"ძმებსა და დებს"** თხოვნა, უსაფრთხო ცხოვრებისთვის თავდაუსხმელობის დოკუმენტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით.

ოფიციალური თბილისი სიტყვას არ წარმოთქვამს **"სეპარატისტების"** ხსენების გარეშე, თან ყოველ წინადადებას **"ეგრეთ წოდებულს"** ურთავს წინ. ეს **"ეგრეთ წოდებული"**, დამოუკიდებელია და მიუხედავად ამერიკა-ევროპის წინააღმდეგობისა, იკვლევს გზას ბობოქარ პოლიტიკურ ჭიდილში.

დავუშვათ, მოსკოვმა გვითხრა – თანახმა ვარ, მაგრამ დაელაპარაკეთ აფხაზებს და ოსებსო, მაშინ რას ვშვებით? სხვათა შორის პუტინის პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს ითქვა ამდაგვარი მისი მხრიდან. ამ შემთხვევაში ვასილ მჟავანაძის დროინდელი ისტორია არ გამოდგება, როდესაც რაიკომის პირველი მდივნობის მსურველი თავის სურვილს ვასილ პავლოვიჩს გაანდობს. მჟავანაძემ გაიკვირვა და თქვა: **"ხალხი რას იტყვისო"**. რაიკომის მდივნობის მსურველმა კი უპასუხა: **"თქვენ იყავით თანახმა, ხალხის დედაცო"**.

ოფიციალური თბილისი არათუ რუსეთს არ ელაპარაკება, არც სოხუმ-ცხინვალთან ლაპარაკს კადრულობს. მას იმედი აქვს, რომ **"საერთაშორისო საზოგადოება"**, საქართველოს **"მეგობარი"** ქვეყნები მოაგვარებენ ამ საკითხს და ჩვენი თავის შეწუხების გარეშე აღგვიდგენენ დაკარგულ ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველო იმ მესამე ვარიანტის შემყურეა, ზემოთ რომ ვახსენე. ევროატლანტიკური სივრცე არ არის ამის გამკეთებელი, ვინაიდან რუსეთი სუპერსახელმწიფოა და მასთან უჭირს ლაპარაკი. რუსეთის დასუსტების მოლოდინში კი სულიც აღმოგვხდება.

საქართელოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ აუღო ალღო დასავლელთა აზროვნებას. ხელისუფლებაში მყოფ გოგობიჭებს ამერიკელთა და ევროპელთა ღიმილით ნათქვამი უარი, თანხმობა ჰგონიათ, რისი მაგალითია თუნდაც რიგა. თინეიჯერმა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მერკელ-ოლანდის ან ნებისმიერი ბრიუსელელი მოხელის ღიმილით ნათქვამი, ოფიციალურ დოკუმენტში ღიმილით აისახებოდა. ან ქართულმა მხარემ არ იცის დიპლომატიური ენა, ან ევროპელები არიან ცბიერები და მატყუარები. პირადად მე ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ბევრს, მათ შორის ხელისუფლებას ჰგონია, რომ ასე არ არის.

სამწუხაროდ დღევანდელი ხელისუფლება, ქსეროქსზე გადაღებულივით, დაემსგავსა **"ნაცურ"** ხელისუფლებას. ისინიც ხომ უტუხად გვიმტკიცებდნენ წაგებულზე, მოვიგეთო. პრემიერიდან დაწყებული ყველამ ერთხმად თქვა, რომ რიგაში წარმატებას მიაღწიეს, თან ისიც თქვეს, მოლდოვამ რომ მრავალი წლის განმავლობაში გააკეთა, ჩვენ 6 თვეში მოვახერხეთო.

მოლდოვასთან შედარება უადგილოა. იქ სხვასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ჩვენს **"წარმატებას"**, დამაფიქრებელია და დამაფიქრებელია არა **"წარმატება"**, არამედ წარუმატებლობის ასეთად მონათვლა.

მაინც სანამდე აპირებს ხელისუფლება ტყუილების გორებას? რატომ თვლის ის, რომ საქართველოს მოსახლეობა გონებაჩლუნგია და რასაც ჩასძახებს, იმას ამოგძახებს? ასეთი, ვერც ტერიტორიულ საკითხს მოაგვარებს, ვერც რუსეთთან დაალაგებს ურთიერთობას და ვერც ეკონომიკას ააყვავებს. ტყუილით, საქმე არ კეთდება. მხოლოდ სიმართლის თქმით და გულწრფელი საქმის კეთებით შეიძლება წარმატების მიღწევა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“ბორჯღალოსნების” მზადებაზე 2 მლნ ლარი დაიხარჯა – ვისზეა ნაწყენი გიორგი ნიშარაძე

საქართველოს ნაკრები 19 სექტემბრიდან მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჩაერთო, რომელმაც ერთი დღით ადრე სტარტს ინგლისში აიღო.

ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა თბილისსა და პოლონეთში მზადების ორი ფაზა გაიარა. საქართველოს ნაკრების მზადებისა და სამსოფლიო გეგმების შესახებ რაგბის კავშირის პრეზიდენტს, გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ, რომელმაც დასაწყისში საფუძვლიანი წყენა გამოხატა, რომელიც, სავარაუდოდ, მხოლოდ მის მიერ აღქმული და განცდილი არაა.

– ძალიან სამწუხაროა, რომ მედიის მხრიდან საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მიმართ ყურადღება საგრძნობლად შემცირებულია. ეროვნული ნაკრები ზედიზედ მეოთხედ გაემგზავრა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე. არც ერთ თოქშოუში, არცერთ ტელეგადაცემაში არავინ მიუწვევიათ, არავის არაფერი ანაღვლებს. კაცს ეგონება, რომ რაგბი საერთოდ არ არსებობს.

– საქართველოს ნაკრებს წინ თავის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება ელის. როგორც უკვე თქვით, “ბორჯღალოსნები” მსოფლიოს თასზე უკვე მეოთხედ იასპარეზებენ. ჩვენი გუნდისგან ქომაგებიც და სპეციალისტებიც მეტს ელიან, ვიდრე აქამდე. გვიამბეთ, როგორ ემზადება ეროვნული ნაკრები ინგლისში საასპარეზოდ?

– მზადება წელწადნახევრის წინათ დაიწყო. ნაკრების მწვრთნელთა შტაბს მაშინ ფიზმომზადებაში მაღალი დონის სპეციალისტი კრეიგ ვაითი ეხმარებოდა. სწორედ იმ პერიოდში დაიგეგმა დეტალურად, თუ როგორ უნდა მომზადებულიყო ჩვენი გუნდი მსოფლიოს თასისთვის. გეგმა იყო დაწვრილებით გაწერილი, იქამდეც კი, რომ იცოდნენ, თითოეულ დღეს რა უნდა ეკეთებინათ.

“ბორჯღალოსნებმა” გაიარეს მზადების ორი ფაზა. პირველ ეტაპზე სამი კვირის განმავლობაში **“შევარდენის სანაკრებო ბაზაზე”** დრო ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმო. ვფიქრობ, ჩვენმა არჩევანმა გაამართლა. ინგლისელი სპეციალისტი კელვინ მორისი მაღალი დონის პროფესიონალია. ის მსოფლიოს თასის ორ გათამაშებაში ინგლისის ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელის ასისტენტი იყო.

ვარჯიშებზე იყო ზეინტენსიური დატვირთვები. თუმცა, ეს საკმაოდ ხალისიანად, თამაშ-თამაშ ხდებოდა. კარგად იყო დაგეგმილი დასვენება-აღდგენითი პროცესი. სამკვირიანი მზადების შემდეგ გუნდმა ერთი კვირა დაისვენა. მერე იყო კიროთერაპია პოლონეთში. ამჟამად გუნდი ინგლისშია, სადაც სამ საკონტროლო მატჩს გამართავს: ინგლისის პრემიერშიპის გუნდ **“ნიუკასლ ფალკონზთან”,** ასევე კანადისა და იაპონიის ნაკრებებთან.

ამდენად, ამ ეტაპზე მზადების პროცესით კმაყოფილნი ვართ. თუმცა, ისიც ცხადია, მარტო ფიზიკური მომზადებით შორს ვერ წავალთ. ყველაფერი მსოფლიოს თასზე გამოჩნდება და საბოლოო შეფასებასაც ამის მერე გავაკეთებთ, რამდენად სწორად და ნაყოფიერად იმუშავეს მწვრთნელებმა.

– მზადების მეორე ეტაპი, რომელიც ორად იყო დაყოფილი, საქართველოს ნაკრებმა პოლონეთში გაიარა. იქ ჩვენმა მორაგბეებმა კიროთერაპია გაიარეს, რაც იაფი სიამოვნება ნამდვილად არაა. მთლიანად მზადების პროცესიც, სავარაუდოდ, საკმაოდ დიდ თანხებთან იქნებოდა დაკავშირებული. შეგიძლიათ გვითხრათ, რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა და ვინ გაიღო ის?

– როგორც უკვე გითხარით, მზადება წელიწადნახევრის წინათ დაიწყო, როცა საქართველოში მოთამაშე ნაკრების მორაგბეებისთვის მზადების სპეციალური პროგრამა შეიქმნა. მთელი ამ დროის განმავლობაში 2 მილიონი ლარი დაიხარჯა. ცხადია, ეს უპრეცედენტო ფაქტია. ხარჯი მთლიანად სახელმწიფომ გაიღო. სიამაყით შეიძლება ვთქვა, რომ საქართველოს ნაკრებს ზუსტად ისეთივე მაღალი დონის პირობები ჰქონდა მოსამზადებლად, როგორიც ახალ ზელანდიას, არგენტინას, ავსტრალიას და სხვა ელიტურ გუნდებს. ჩვენს ნაკრებს ჰქონდა თანამედროვე სამეცნიერო სისტემაზე დამყარებული სამედიცინო მომსახურება, კვება, უცხოელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კონსულტაციები და ბევრი სხვა აუცილებელი ატრიბუტი.

– საინტერესოა, რას ემსახურება ყოველივე ეს?

– იმას, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ინგლისში გასამართავ მსოფლიოს თასზე აჩვენოს მაქსიმალური შედეგი და ითამაშოს თვისობრივად განსხვავებული რაგბი, როგორიც აქამდე არ უთამაშია.

ქომაგებმა იციან, რომ ჯგუფურ ტურნირზე ოთხი თამაში გვაქვს გასამართავი. პირველი მეტოქე ტონგას ნაკრებია (რომელიც უკვე დავამარცხეთ – რედ), რომელიც, რატომღაც, არაადეკვატურადაა აღქმული. ეს გუნდი ობიექტურად ჩვენზე ძლიერია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელ გუნდებში ასპარეზობენ ტონგელი მორაგბეები, სად იმყოფება ეს გუნდი მსოფლიოს კლასიფიკაციაში. ისინი თითქმის ყველანი ახალზელანდიელები არიან, რომლებიც **“ოლ ბლექსის”** შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათთან თამაშში შანსი არ გვაქვს. უბრალოდ, ბევრი გარემოება უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, მათ შორის, იღბალიც, რომ მეტოქე დავამარცხოთ. ერთი ვიცი, საამისოდ ჩვენი ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ.

– ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ არბიტრებს მსაჯობის განსხვავებული სტილი აქვთ. ტონგასთან ჩვენი ნაკრების მატჩს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რეფერი, უელსელი ნაიჯელ ოუენსი განსჯის. თუ აქვთ ნაკრების მწვრთნელებს შესწავლილი მისი მსაჯობის სტილი?

– ინგლისის შეკრებაზე ნაკრებს ეწვევა ირლანდიის რაგბის კავშირის მსაჯთა კომიტეტის წევრი, ერთ-ერთი საუკეთესო ირლანდიელი სპეციალისტი, რომელიც მწვრთნელებს ოთხივე მატჩის მსაჯობის სტილის შესწავლაში დაეხმარება. ცხადია, ნაიჯელ ოუენსზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. კარგად გვახსოვს, ოთხი წლის წინანდელ მსოფლიოს თასზე მსაჯების სერიოზული შეცდომების მსხვერპლნი როგორ გავხდით. იმედი გვაქვს, რომ მსაჯობის ხარისხი ამჟამად გაცილებით კარგი იქნება.

– ჯგუფურ ტურნირში მეორე თამაში არგენტინის ნაკრებთან გვაქვს...

– არგენტინის ნაკრები დღესდღეობით მსოფლიოს რეიტინგში მე-8 გუნდია. ის მუდმივად პროგრესირებს და ელიტაში დიდი ხანია დაიმკვიდრა ადგილი. არგენტინელები ყოველწლიურად ეთამაშებიან ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს. ამათგან ბოლო ორს თითოჯერ მოუგო კიდეც. 2007 წლის მსოფლიოს თასზე **“პუმებმა”** მესამე ადგილი დაიკავეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათელია, რა დონის გუნდთან გვაქვს საქმე. თუ პირველ მატჩში ტონგასთან გამარჯვებას მივაღწევთ, ვფიქრობ, არგენტინასთან სერიოზული ბრძოლა გვექნება. მათი თამაშის სტილს ვიცნობთ. მსოფლიოს თასზე ორჯერ ვეთამაშეთ. გვქონდა ტესტი ბუენოს აირესში. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად ვეთამაშებით.

– ახალი ზელანდიის ნაკრებთან თამაში ჩვენი რაგბისთვის მოვლენაა...

– ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა. ვინც რაგბი იცის, ესმის, რომ მოგების შანსი არ გვაქვს. თუმცა ჩვენი ბიჭების მოტივაცია ის იქნება, რომ ახალზელანდიელებს და მსოფლიოს დაუმტკიცონ, რომ რაგბის თამაში იციან და მსოფლიოს თასზე შემთხვევით არ მოხვდნენ. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ჩვენი გუნდის საუკეთესო თამაში. ამასთან ერთად, თითოეული ჩვენი მორაგბისთვის ეს იქნება უდიდესი გამოცდილება, რომელსაც მომავალ კარიერაში გამოიყენებენ.

– მეოთხე მეტოქე, ნამიბიის ნაკრები, ის გუნდია, რომელსაც, წესით, აუცილებლად უნდა მოვუგოთ...

– არ მიმაჩნია სწორად, როცა რომელიმე გუნდს უდიერად ექცევიან და გამარჯვება წინასწარ დაბევებული ჰგონიათ. ამ გუნდთან მოგებული მაშინ ვიქნებით, თამაში რომ დამთავრდება და ტაბლოზე ჩვენთვის სასარგებლო ანგარიში იქნება დაფიქსირებული. ნამიბია ძალიან კარგი გუნდია და ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასთან თამაში ჯგუფში ბოლოს გვიწევს. ამიტომ ძალთა 100-პროცენტიანი კონცენტრაცია დაგვჭირდება ნამიბიელთა დასამარცხებლად. პირველი მიზეზი ისაა, რომ ოფიციალურად გვაქვს ვადა 31 აგვისტომდე. მერე ჩვენს ნაკრებს აქვს საკონტროლო თამაში **“ნიუკასლ ფალკონზთან”.** მწვრთნელები კიდევ ერთხელ შეხედავენ, შეამოწმებენ მოთამაშეებს და საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ამის მერე მიიღებენ. ასე სწორედ მათ გადაწყვიტეს. თუმცა, ვინც ნაკრების გასაცილებლად აეროპორტში მივიდა, თავად იხილა, რა შემადგენლობით გაემგზავრა ნაკრები. ცხადია, გაჩნდება კითხვები, რატომ ვერ მოხვდა კონკრეტული მორაგბე საბოლოო განაცხადში. ერთი შემიძლია თამამად ვთქვა: ნებისმიერი გადაწყვეტილება არის მწვრთნელთა შტაბის დიდი და სერიოზული განსჯის შედეგი. ამასთან ერთად, ის შვიდი მორაგბე, რომელიც გუნდში ვერ მოხვდება, სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს, რათა თუ ვინმე ტრავმას მიიღებს, ჩაენაცვლოს.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “პავკასია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

ავტობუსში ქალი ამოდის პატარა გოგონასთან ერთად. გოგონა მაშინვე იწყებს:

– დედი, მიყიდე შოკოლადი...

– არა, შენთვის არ შეიძლება...

– მიყიდე, თორემ მამას ვეტყვი, როცა ის მიდის, შენთან ზურა ძია რომ მოდის ხოლმე...

ქალს სასწრაფოდ ჩაჰყავს გოგონა. ერთი გაჩერების შემდეგ მამაკაცი ამოდის ბიჭუნათი.

– მამა, მიყიდე შოკოლადი...

– უყიდე, თორემ ინანებ! – ერთხმად აყვირდნენ მგზავრები.

* * *

ცოლ-ქმარს სძინავს. შუაღამეს ქმარი აღვიძებს ცოლს.

– რა გიხდა? – თვალების ფშვნეტით ეკითხება ცოლი.

– რა მინდა და 30 ლარი მასესხე... რა უნდა მინდოდეს?

* * *

სამსახურში ქალებმა ყავაზე მკითხავი მოიწვიეს. ანდროსაც დააინტერესა, რას მეტყვისო და რიგში ჩადგა.

– ვხედავ, ორი შვილი გყავთ, – ეუბნება ფინჯანს ჩაშტერებული მკითხავი.

– თქვენ ასე გგონიათ? – ირონიულად პასუხობს ანდრო, – სამი მყავს, სამი...

– ეს თქვენ გგონიათ ასე...

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge